რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და უსაფრთხოება

პოლიტიკის გზამკვლევი

OSCE
ODIHR

რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და უსაფრთხოება
პოლიტიკის გზამკვლევი

გამოქვეყნებულია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) მიერ

მიოდოვას ქ. 10
00-251 ვარშავა
პოლონეთი
www.osce.org/odihr
© OSCE/ODIHR 2022

ყველა უფლება დაცულია. წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაციის გამოყენება და გამრავლება შესაძლებელია საგანმანათლებლო და სხვა არაკომერციული მიზნებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მითითებული იქნება OSCE/ODIHR როგორც პირველი წყარო.

ISBN 978-83-66690-89-9

ყდის და შიდა გვერდების დიზაინი: Homework

ბაწარი, რომელსაც ერთმანეთში ჩაწნული ძაფები ქმნიან და ამ ნაშრომის ყდაზეა გამოსახული, განასახიერებს კავშირს რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის. ამ მეტაფორის იდეა პუბლიკაციაზე მუშაობის დროს გაჩნდა და პროფესორ ბრეთ შარფს ეკუთვნის.

დაბეჭდილია პოლონეთში Centrum Poligrafii-ის მიერ

შინაარსი

მადლიერება 6
შესავალი. 8

1. ადამიანის უფლებები და ეუთოს კონცეფცია ყოვლისმომცველი უსაფრთხოების შესახებ 13

2. ეუთოს ვალდებულებები და საერთაშორისო სტანდარტები რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესახებ 17

3. რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და უსაფრთხოება: სახელმძღვანელო პრინციპები. 28

4. რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და რეკომენდაციები 39

4.1. რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება და უსაფრთხოება 40
4.2. „ექსტრემისტული" გამოსვლა (რიტორიკა) და ლიტერატურა და უსაფრთხოება. 51
4.3. სკრინინგი, მონიტორინგი და ჩხრეკა ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილებში და უსაფრთხოება 71
4.4. რელიგიის/რწმენის შეცვლასთან დაკავშირებული შეზღუდვები და იმ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების საქმიანობების შეზღუდვა, რომელთაც უცხოური კავშირები აქვთ. 84

მადლიერება

აღნიშნული დოკუმენტი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, სხვადასხვა რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან გამართული ხანგრძლივი კონსულტაციების ნაყოფია. დოკუმენტის სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით სათანადო უკუკავშირის მისაღებად, 2016 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის აპრილის ჩათვლით ალმათიში, ბრაიტონში (გაერთიანებული სამეფო), ბრიუსელში, კიევში, ლონდონში, ოტავაში, ვენაში, ვარშავასა და ვაშინგტონში გაიმართა არაერთი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დარგის 165-მა წარმომადგენელმა (90 კაცი და 75 ქალი). გვსურს განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ზემოხსენებულ კონსულტაციებში მონაწილეობდა. დოკუმენტზე მუშაობის პროცესში ასევე გათვალისწინებული იყო ის რჩევები, რომელიც მოგვაწოდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ექსპერტთა პანელმა.

დოკუმენტის შედგენაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს შემდეგმა ექსპერტებმა: სილვიო ფერარი, ჯოელ ფიზი, ნაზილა განეა, სიუზან კერი, ბრეთ შარფსი, ჯერონ ტემპერმანი, ასმა უდინი, მარკო ვენტურა და მაიკლ ვინერი.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სახელით, დოკუმენტზე მუშაობისას გაწეული თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის, გვსურს ასევე ჩვენი მადლიერება გამოვხატოთ კასპიის სახელმწიფო უნივერსიტეტის; ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის; ჯ. რუბენ კლარკის იურიდიული სკოლის

სამართლისა და რელიგიის კვლევის საერთაშორისო ცენტრის; ბრიგემ იანგის უნივერსიტეტის; ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის; შეერთებული შტატების რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო კომისიისა და სასექსის უნივერსიტეტის მიმართ.

შესავალი

ევროპის რეგიონში რელიგიურ და სარწმუნოებრივ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით არსებულმა გამოწვევებმა, ისევე როგორც ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის კუთხით არსებულმა საფრთხეებმა,[1] წინ წამოწია და მკვეთრ ფოკუსში მოაქცია კავშირი აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასა[2] და უსაფრთხოების უზრუნველყოფას შორის.[3] მიუხედავად იმისა, რომ ევროპის მონაწილე სახელმწიფოებს შემუშავებული აქვთ სხვადასხვა

1 მიუხედავად იმისა, რომ ევროპის არ აქვს ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის განმარტება, „ტერორიზმის გამომწვევი რადიკალიზაცია“ აღწერილია როგორც „დინამიკური პროცესი, რა დროსაც პიროვნება ტერორისტულ ძალადობას აღიქვამს დასაშვებ, შესაძლოა, ლეგიტიმურ ქმედებადაც კი. ამან შესაძლოა, მაგრამ არ არის აუცილებელი, უბიძგოს პიროვნებას, მხარი დაუჭიროს ან უშუალოდ ჩაერთოს ტერორიზმში“. იხ.: ტერორიზმის პრევენცია და ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა: საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო მიდგომა, ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისი (ვარშავა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2014), გვერდი 15. ევროპის ვალდებულებების შესაბამისად, ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი არ შეიძლება და არ უნდა იყოს დაკავშირებული რომელიმე რასასთან, ეთნოსთან, ეროვნებასთან ან რელიგიასთან. ეს ხაზგასმულია შემდეგ დოკუმენტებში: ბუქარესტის გეგმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, 2001 წლის ბუქარესტის დოკუმენტი, გადაწყვეტილება No.1, პუნქტი 3; ევროპის მინისტრთა საბჭო, დეკლარაცია No.4/15, „ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენცია და დაძლევა“, ბელგრადი, 2015 წლის 4 დეკემბერი; ევროპის მინისტრთა საბჭო, დეკლარაცია No.1/16, „ევროპის ძალისხმევის გაძლიერება ტერორიზმის პრევენციისა და დაძლევის მიზნით“, ჰამბურგი, 2016 წლის 9 დეკემბერი.

2 შემდგომში ამ დოკუმენტში მოიხსენიება, როგორც „რელიგიის ან რწმენის თავისუფლება“, როგორც სტენოგრაფიული ფორმულირება.

3 არსებობს მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტი რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, მათ შორის, თავად რელიგიური ან სარწმუნოებრივი გაერთიანებების უსაფრთხოება, რომელიც მოიცავს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსაც, მაგრამ ეს სცილდება ამ სახელმძღვანელოს ფარგლებს.

სტრატეგია, რათა უზრუნველყონ, რომ მათი უსაფრთხოების ზომები სრულად შეესაბამება რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს, ზოგიერთმა კანონმა, უსაფრთხოების პოლიტიკამ და პრაქტიკამ რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული სხვა უფლებები მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ მოაქცია. ასეთი ზომები, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც ფართოდ განიმარტება ან თვითნებურად გამოიყენება, ხშირად „ეროვნული“, „სახელმწიფო“ ან „საზოგადოებრივი“ უსაფრთხოების სახელით, ან „მშვიდობიანი თანაარსებობის“, „სოციალური სტაბილურობის“ თუ „სოციალური ჰარმონიის“ დაცვის საბაბით ხორციელდება. არსებული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ამგვარ შეზღუდვებს, უსაფრთხოების გაძლიერების ნაცვლად, მისი შესუსტება შეუძლიათ.

ევროპის მონაწილე სახელმწიფოებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება, დაიცვან თავიანთ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ინდივიდის, ჯგუფისა და თემის უფლებები, ასევე ყველა იმ პირის უფლებები, ვინც მათ იურისდიქციაში ექცევა. ყველა ადამიანს აქვს როგორც პირადი უსაფრთხოების უფლება,[4] ისე რელიგიისა და რწმენის თავისუფლება. მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ უპირველესი ვალდებულება, დაიცვან ეს უფლებები და თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასთვის თანასწორად უზრუნველყონ ამ უფლებებით სარგებლობა.

პიროვნების უსაფრთხოების უფლების დაცვა, პატივისცემა და უზრუნველყოფა მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას ადამიანები, ჯგუფები და თემები ისეთი საფრთხეებისგან, როგორიცაა დანაშაული, ძალადობა და ტერორიზმი.[5] სახელმწიფოებმა უნდა

---

4 გაეროს გენერალური ასამბლეა, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1948 წლის 10 დეკემბერი, 217 A (III) (შემდგომში „UDHR“), მუხლი 3, <http://www.un.org/en/documents/udhr/index.shtml>.

5 ევროპის მრავალ ვალდებულებაში ხაზგასმით არის აღნიშნული მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან ზომების მიღების აუცილებლობა ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისა და დაძლევის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ ეს განხორციელდეს საერთაშორისო სამართლით ნაკისრი ვალდებულებების, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვით (მაგ., ევროპის მინისტრთა საბჭოს

განიხილონ უსაფრთხოება მის სხვადასხვა განზომილებაში და შეიმუშაონ ისეთი სახის ყოვლისმომცველი და თანამშრომლობითი მიდგომა, რომელიც სხვა განზომილებების, მათ შორის ადამიანის უფლებების, ხარჯზე არ გააკეთებს გადაჭარბებულ აქცენტს ეროვნულ უსაფრთხოებაზე.[6]

მიუხედავად ამისა, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების და უსაფრთხოების კუთხით არსებული თანამედროვე დისკურსის დიდი ნაწილი ემხრობა ამ ღირებულებებს შორის ბალანსის დაცვას ან უშვებს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფამ უნდა შეიწიროს აღნიშნული თავისუფლების ზოგიერთი ასპექტი. ეს დისკურსი ეწინააღმდეგება ეუთოს ყოვლისმომცველ მიდგომას უსაფრთხოების მიმართ, რომელიც არ განიხილავს რელიგიის ან რწმენის თავისუფლებას და უსაფრთხოებას, როგორც კონკურენტულ უფლებებს. ეუთო ამ უფლებებს აღიარებს, როგორც ურთიერთშემავსებელ, ურთიერთდამოკიდებულ და ერთმანეთის გამაძლიერებელ მიზნებს, რომლებიც შესაძლებელია და აუცილებელია მიღწეული იყოს ერთობლივად. ისევე როგორც ადამიანის სხვა უფლებები, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების სრული პატივისცემა, დაცვა და უზრუნველყოფა საჭიროებს ყოვლისმომცველი უსაფრთხოების რეჟიმის არსებობას. ამავდროულად, უსაფრთხოება ვერ იქნება მდგრადი ადამიანის უფლებების სრული პატივისცემის გარეშე, რადგან სწორედ ადამიანის უფლებების დაცვა არის ის ძირითადი წინაპირობა, რომელიც საფუძვლად უდევს ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს სახელმწიფოსა და მოსახლეობას შორის, რომელსაც ის ემსახურება. ამგვარი ნდობის გარეშე, სახელმწიფოს გაუჭირდება, შეასრულოს საკუთარი ვალდებულება, რომ უზრუნველყოს უსაფრთხოება და დაიცვას და შეინარჩუნოს დემოკრატიული საზოგადოება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (ODIHR) აქვეყნებს პოლიტიკის გზამკვლევს: რელიგიის

დეკლარაცია No. 4/15, ეუთოს მინისტრთა საბჭოს დეკლარაცია No. 1/16, თხზ., შენიშვნა 1).

6 ეუთოს ყოვლისმომცველი უსაფრთხოების კონცეფცია განხილულია ამ პუბლიკაციის პირველ თავში.

ან რწმენის თავისუფლება და უსაფრთხოება, რათა განმარტოს ეუთოს მშვიდობისა და უსაფრთხოების ყოვლისმომცველი ჩარჩოს ფარგლებში რელიგიის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის არსებული ურთიერთკავშირი. ეს სახელმძღვანელო ასევე განმარტავს რელიგიის ან რწმენის თავისუფლების არსს, სტატუსსა და ფარგლებს ისე, როგორც არის გათვალისწინებული ეუთოს ვალდებულებებსა და საერთაშორისო და რეგიონალურ სტანდარტებში. დაბოლოს, დოკუმენტი მოიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს, პრაქტიკულ მითითებებსა და რეკომენდაციებს ეუთოს რეგიონში რელიგიის ან რწმენის თავისუფლების და უსაფრთხოების ურთიერთკვეთის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. დოკუმენტი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია საჯარო/პოლიტიკური პირებისთვის, რომელთაც ევალებათ უსაფრთხოების სფეროში კანონების, პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება, რათა უზრუნველყონ, რომ მათი უსაფრთხოების დებულებები შეესაბამებოდეს ადამიანის საყოველთაო უფლებების სფეროში მათ პასუხისმგებლობებს და საერთაშორისოდ ნაკისრ ვალდებულებებს.

ამ სფეროში გრძელვადიანი ამოცანების დასახვას სჭირდება თანამშრომლობითი მიდგომა სახელმწიფოსა და ყველა სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართულობით. ამრიგად, სახელმძღვანელო ასევე განკუთვნილია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც ადამიანის უფლებების, ტოლერანტობის და დისკრიმინაციის დაძლევის თემატიკაზე მუშაობენ, რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემებისთვის, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისთვის, აკადემიური წრეებისთვის, განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისა და მედიისთვის. ვინაიდან ვერცერთი რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემი ვერ განვითარდება ისეთ გარემოში, სადაც უსაფრთხოება არ არის უზრუნველყოფილი, ყოველმა მათგანმა უნდა შეიტანოს საკუთარი წვლილი საზოგადოებაში უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. ადამიანების თანაარსებობისა და საერთო სიკეთის შესახებ პოზიტიური ხედვის ჩამოყალიბებით, მათ შეუძლიათ გააუმჯობესონ ფართო საზოგადოებრივი ძალისხმევა სოციალური ერთობისა და ყოვლისმომცველი და მდგრადი უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

შესაბამისად, მთელი რიგი რეკომენდაციები მიემართება როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილული სტანდარტები ვრცელდება ეუთოს რეგიონზე, თუმცა ყველა ხსენებული სტანდარტი არ არის სავალდებულო ეუთოს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. ეს სტანდარტები მეტწილად ასახულია ეუთოს ადამიანური განზომილების კუთხით არსებულ ვალდებულებებში. ასევე ნახსენებია გარკვეული არასავალდებულო ხასიათის სტანდარტები, სადაც განმარტებულია ის პრინციპები, რომელიც საფუძვლად უდევს ეუთოს ვალდებულებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

1. ადამიანის უფლებები და ეუთოს კონცეფცია ყოვლისმომცველი უსაფრთხოების შესახებ

ეუთოს განმარტებით, უსაფრთხოება ყოვლისმომცველი ცნებაა, ეფუძნება თანამშრომლობითობასა და თანასწორობას და არის ადამიანის უფლებებთან მჭიდროდ დაკავშირებული და განუყოფელი ნაწილი. უსაფრთხოებისადმი ეუთოს ყოვლისმომცველი მიდგომის სამივე დამატებითი განზომილება (პოლიტიკურ-სამხედრო, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი და ადამიანური) თანაბრად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული.

რელიგიის ან რწმენის თავისუფლება ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს შორის ორმხრივ ურთიერთობებს და წარმოადგენს ეუთოს უსაფრთხოების კონცეფციის განუყოფელ ასპექტს.[7] მაგალითად, კიევის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესახებ, ხაზს უსვამს „კავშირს უსაფრთხოებასა და აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების სრულ პატივისცემას შორის.“[8]

---

7 „კონფერენცია უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ ევროპაში, დასკვნითი აქტი“, ეუთო, 1975, <https://www.osce.org/helsinki-final-act?download=true>. (შემდგომში „ჰელსინკის დასკვნითი აქტი 1975“).

8 ეუთოს მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილება No. 3/13, „აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება“, კიევი, 2013 წლის 6 დეკემბერი, პუნქტი 6 (შემდგომში „კიევის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 3/13“).

ამ კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობას და თავისუფლებას, რომელსაც ხელს უწყობს რელიგიის ან რწმენის თავისუფლება, ისევე როგორც ადამიანის სხვა უფლებები, საფუძვლად უდევს ადამიანთა მრავალფეროვანი რწმენის სათანადო აღიარება და თითოეული ადამიანის შესაძლებლობა, „საკუთარი სინდისის შესაბამისად, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, მისდიოს ან აღასრულოს საკუთარი რელიგია ან რწმენა“.[9] რელიგიის ან რწმენის თავისუფლება არა მხოლოდ ხელს უწყობს თითოეული ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას – დაცული იყოს მათი მსოფლმხედველობის უფლება, არამედ ასევე ეხმარება საზოგადოებას განსხვავებული შეხედულებების გამოხატვაში.

ადამიანის უფლებები, მათ შორის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლება, საზოგადოების განვითარების ფუნდამენტია და, შესაბამისად, ინტეგრირებული უნდა იყოს კონფლიქტსა და ძალადობაზე რეაგირების ყველა მეთოდში, იქნება ეს გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლა, მსხვერპლთა დაცვა თუ შესაძლო შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. შესაბამისად, ადამიანის უფლებები და უსაფრთხოების ზომები ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება. რელიგიის ან რწმენის თავისუფლება ხელს უწყობს სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის ხალხებს შორის ურთიერთპატივისცემის, ნდობის, ურთიერთგაგებისა და თანასწორობის ჩამოყალიბებას. ამრიგად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ხელს უწყობს საზოგადოებებს, იყვნენ უფრო მედეგი იმ საკითხებისადმი, რომლებიც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას.

ევროპის ვალდებულებებსა და რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას მოაქვს არაერთი სარგებელი, რაც ხელს უწყობს ყოვლისმომცველ და მდგრად უსაფრთხოებას, განსაკუთრებით სოციალური და ეკონომიკური განვითარებისა და მშვიდობის ხელშეწყობის კუთხით.[10]

---

9 ჰელსინკის დასკვნითი აქტი 1975, ციტ., შენიშვნა 7.

10 რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასა და სოციალურ ჰარმონიასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას შორის კავშირის მზარდი მტკიცებულება ხაზგასმულია მთელ რიგ კვლევებში, მათ შორის: Grim, B. & Finke, R, „თავისუფლების უარყოფის ფასი: რელიგიური დევნა და კონფლიქტი

რელიგიის ან რწმენის თავისუფლება სხვადასხვა აღმსარებლობის, რელიგიის თუ რწმენის მქონე ადამიანების პოზიტიური რესურსების მობილიზებისა და ხელშეწყობის საშუალებაა, რაც, თავის მხრივ, უკეთესობისკენ ცვლის საზოგადოებას. შესაბამისად, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა აფერხებს საზოგადოების პოტენციალს, შექმნას სოციალური ჩარჩო, რომელშიც უზრუნველყოფილია როგორც თავისუფლება, ისე უსაფრთხოება.

რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და კაცისა და ქალის თანასწორობა მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა ერთსა და იმავე განუყოფელ ჩარჩოს.[11] ყოვლისმომცველი უსაფრთხოება გულისხმობს, რომ ქალებსა და კაცებს თანაბრად უნდა შეეძლოთ რელიგიის ან რწმენის თავისუფლებით სარგებლობა. ამ კუთხით, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ „უფრო მეტად მშვიდობიანი, განვითარებული და დემოკრატიული ეუთოს რეგიონის მისაღწევად, აუცილებელია, რომ ქალებმა სრულად და თანაბრად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით“[12] და რომ „ეუთოს რეგიონში მშვიდობის ... უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის აუცილებელია როგორც ქალების, ასევე კაცების ცოდნა, უნარები და გამოცდილება“.[13] ეს საკითხი უფრო დეტალურად არის განხილული გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ ეუთოს მინისტრთა საბჭოს არაერთ გადაწყვეტილებაში.[14] იმის გათვალისწინებით,

---

21-ე საუკუნეში (ნიუ-იორკი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, 2011); Grim, B. Clark, G. & Snyder, R.E., „რამდენად კარგია რელიგიის თავისუფლება ბიზნესისთვის?: კონცეპტუალური და ემპირიული ანალიზი“, რელიგიის კვლევის ინტერდისციპლინური ჟურნალი, თავი 10, No. (4), 2014.

11 „ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა“, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 1993 წლის 25 ივნისი, პუნქტი 5, https://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/Vienna.aspx. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „ადამიანის ყველა უფლება არის უნივერსალური, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული“.

12 „სტამბოლის დოკუმენტი: ევროპის უსაფრთხოების ქარტია 1999“, ეუთო (შემდგომში „სტამბოლის დოკუმენტი 1999“), < https://www.osce.org/mc/39569?download=true>

13 „ლუბლიანის მინისტრთა საბჭოს მეცამეტე შეხვედრის დოკუმენტი, 2005“, ეუთო, (შემდგომში „ლუბლიანის დოკუმენტი 2005“), <https://www.osce.org/mc/18778?download=true>

14 იხილეთ: ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება No. 14/05, „ქალები კონფლიქტების პრევენციაში, კრიზისის მენეჯმენტსა და პოსტკონფლიქტურ

რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლების დარღვევამ შესაძლოა განსხვავებული გავლენა იქონიოს ქალებსა და კაცებზე, მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის აღმოფხვრა როგორც რელიგიის ან რწმენის, ისე სქესის საფუძველზე.[15]

რეაბილიტაციაში“, ლუბლიანა, 2005; ეუთოს მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილება No. 15/05, „ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და ბრძოლა“, ლუბლიანა, 2005; ეუთოს მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილება No. 7/09, „ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“, ათენი, 2009; და ეუთოს მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილება No. 10/11, „ქალთა თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა ეკონომიკურ სფეროში“, ვილნიუსი, 2011.

15 აღნიშნული ხაზს უსვამს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებმა უზრუნველყონ გენდერული ანალიზი და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომები რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ხელშესაწყობად და დასაცავად, რაც ინტეგრირებული იქნება უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომებში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში. ეუთოს 2004 წლის სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით, გენდერულ პროგრამებსა და პროექტებში ჩართვას მოითხოვს. ანტისემიტური სიძულვილის დანაშაულების და მათთან დაკავშირებული უსაფრთხოების გამოწვევების განსხვავებულ გავლენაზე კაცებსა და ქალებზე, იხილეთ: ანტისემიტური სიძულვილის დანაშაულების გაგება და ებრაული თემის უსაფრთხოების საჭიროებების გათვალისწინება: პრაქტიკული გზამკვლევი (ვარშავა, დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისი: 2017). გვ. 13–15, <https://www.osce.org/odihr/317166>.

2. ეუთოს ვალდებულებები და საერთაშორისო სტანდარტები რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესახებ

რელიგიის ან რწმენის თავისუფლება ადამიანის მრავალმხრივი უფლებაა, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ, კოლექტიურ, ინსტიტუციურ, საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო განზომილებებს და ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული ეუთოს ვალდებულებებსა[16] და საერთაშორისო და რეგიონალურ

16 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი, ციტ., შენიშვნა 7; „მესამე შემდგომი შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი, ვენა, 1986 წლის 4 ნოემბერი – 1989 წლის 19 იანვარი“, ეუთო (შემდგომში „ვენის დოკუმენტი 1989“); ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის კომისიის ადამიანური განზომილების კონფერენციის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი, ეუთო (შემდგომში „კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990“); „პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის 1990“, ეუთო (შემდგომში „პარიზის ქარტია 1990“); „ბუდაპეშტის დოკუმენტი: ჭეშმარიტი პარტნიორობისკენ ახალ ეპოქაში. სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურთა სამიტი 1994“, ეუთო (შემდგომში „ბუდაპეშტის დოკუმენტი 1994“); სტამბოლის დოკუმენტი 1999, ციტ., შენიშვნა 12; „მინისტრთა საბჭოს მეთერთმეტე შეხვედრის დოკუმენტი მაასტრიხტი 2003“, ეუთო (შემდგომში „მაასტრიხტის დოკუმენტი 2003“); „სოფიის მინისტრთა საბჭოს მეთორმეტე შეხვედრის დოკუმენტი“, ეუთო (შემდგომში „სოფიის დოკუმენტი 2004“); ლუბლიანის დოკუმენტი 2005, op. ციტ., შენიშვნა 13; „2006 წლის მინისტრთა საბჭოს მეთოთხმეტე შეხვედრის დოკუმენტი“, ეუთო (შემდგომში „ბრიუსელის დოკუმენტი 2006“); „2007 წლის მინისტრთა საბჭოს მეთხუთმეტე შეხვედრის დოკუმენტი“, ეუთო (შემდგომში „მადრიდის დოკუმენტი 2007“); „მინისტრთა საბჭოს მეთექვსმეტე შეხვედრის დოკუმენტი, ჰელსინკი 2008“, ეუთო (შემდგომში „ჰელსინკის დოკუმენტი 2008“); „მინისტრთა საბჭოს მეჩვიდმეტე შეხვედრის დოკუმენტი, ათენი 2009“, ეუთო (შემდგომში „ათენის დოკუმენტი 2009“); „ასტანის სამახსოვრო დეკლარაცია 2010“; „კიევის მინისტრთა საბჭოს მეოცე შეხვედრის დოკუმენტი 2013“, ეუთო (შემდგომში „კიევის დოკუმენტი 2013“).

სტანდარტებში[17]. ეს სტანდარტები მოიცავს რელიგიის ან რწმენის თავისუფლებით სარგებლობის არაერთ მნიშვნელოვან პრინციპს, მათ შორის, მის სტატუსს, რომ ეს უფლება აქვს ყველა ადამიანს, კაცს და ქალს, მორწმუნეს და არამორწმუნეს;[18] ასევე გულისხმობს ყველა ადამიანის თავისუფლებას, იმოქმედოს საკუთარი რელიგიის ან რწმენის შესაბამისად, გამოხატოს ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან განკერძოებით, ღვთისმსახურებით, სწავლებით, პრაქტიკითა და რიტუალების აღსრულებით.[19] ადამიანები, რომლებიც საკუთარი რწმენისა და რელიგიის თავისუფლებით სარგებლობენ კოლექტიურად, სხვებთან ერთად, ამ დოკუმენტში მოიხსენიებიან როგორც „რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემები“.[20]

ადამიანის მიერ რელიგიის ან რწმენის თავისუფლებით სარგებლობა ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან განცალკევებით, ადამიანის წარუვალი უფლებაა. შესაბამისად, არ შეიძლება ეს უფლება იყოს პირობითი და დამოკიდებული

---

17 გაეროს გენერალური ასამბლეა, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, 1966 წლის 16 დეკემბერი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხელშეკრულებების სერია, ტ. 999, გვ. 171 (შემდგომში „ICCPR“), მუხლი 18, <http://www.ohchr.org/en/professionalinter-est/pages/ccpr.aspx>; ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, შესწორებული No. 11 და No. 14 ოქმებით, 1950 წლის 4 ნოემბერი (შემდგომში „ECHR“), მუხლი 9, <http://conventions.coe.int /treaty/ Commun/ QueVoulezVous.asp?NT=005&CL=ENG>; ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია (OAS), ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, „სან ხოსეს პაქტი“, კოსტა-რიკა, 1969 წლის 22 ნოემბერი (შემდგომში ACHR), მუხლი 12, <http://www.oas.org/dil/treaties_B- 32_American_Convention_on_Hu-man_Rights.htm>; ევროკავშირი, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია, 2012 წლის 26 ოქტომბერი, 2012/C 326/02, მუხლი 10, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri= OJ:C:2012:326:TOC>.

18 იხილეთ: „ზოგადი კომენტარი No. 22“, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, გაეროს დოკ. CCPR/C21/Rev.1/Add.4, რომელიც განმარტავს, რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლება ეკუთვნის თეისტურ, არათეისტურ, ათეისტ ან სხვა მორწმუნეებს, პარაგრაფი 2 (შემდგომში „ზოგადი კომენტარი No. 22“).

19 ICCPR მუხლი 18(1); ECHR მუხლი 9(1); ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის (ACHR) მუხლი 12(1); ვენის დოკუმენტი 1989, op. ციტ., შენიშვნა 16; კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990, ციტ., შენიშვნა 16, პუნქტი 9.4.

20 ერთობლივი სახელმძღვანელო პრინციპები რელიგიური ან სარწმუნოებრივი ჯგუფების სამართლებრივი სტატუსის შესახებ, OSCE/ODIHR და ვენეციის კომისია, პუნქტი 11 (ვარშავა: OSCE/ODIHR, 2014), < https://www.osce.org/odihr/139046>.

სახელმწიფოს ნებართვაზე.[21] რელიგიის ან რწმენის თავისუფლების ნორმატიულ სტატუსს ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია ამ უფლების უზრუნველყოფიდან გადახვევა. ეს ნიშნავს, რომ როდესაც საფრთხე ექმნება მოსახლეობის სიცოცხლეს და ამასთან დაკავშირებით ცხადდება საგანგებო მდგომარეობა, სახელმწიფოს ამ დროსაც არ აქვს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან გადახვევის უფლება.[22]

ამრიგად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, იყვნენ ყველა ადამიანისა და რელიგიური ან სარწმუნოებრივი ჯგუფის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვის მიუკერძოებელი გარანტორები. სახელმწიფოების ეს ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ მოქალაქეებითა და ბინადრობის ნებართვის მქონე პირებით, არამედ თანაბრად ვრცელდება თავშესაფრის მაძიებლებზე, მიგრანტებზე, ლტოლვილებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

რელიგიის ან რწმენის თავისუფლებით სარგებლობის განსაზღვრისას, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს რელიგიის ან რწმენის თვითგანმარტება, თუმცა, რა თქმა უნდა, ხელისუფლებებს აქვთ გარკვეული კომპეტენცია, გამოიყენონ ზოგიერთი ობიექტური და ფორმალური კრიტერიუმი იმის დასადგენად, მიესადაგება თუ არა

---

21 იქვე. გვ. 13, 17 და 39. აგრეთვე: Metropolitan Church of Bessarabia v. Moldova [ბესარაბიის სამიტროპოლიტო ეკლესია მოლდოვის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (განაცხადი No. 45701/99, 2001 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება), პუნქტები 128–130; „რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, ჰაინერ ბილეფელდტი“, გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს დოკ. A/HRC/19/60, 2011 წლის 22 დეკემბერი, პარ. 25 და 41, <https://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session19/A-HRC-19-60_en.pdf>.

22 იხილეთ სახელმძღვანელო მითითებები რელიგიის ან რწმენის შესახებ კანონმდებლობის გადახედვის შესახებ (ვარშავა: OSCE/ODIHR, 2004), <http://www.osce.org/odihr/13993>, გვერდი 19.

ეს განმარტებები კონკრეტულ შემთხვევას.[23] არსებობს რელიგიებისა და რწმენათა დიდი მრავალფეროვნება[24] და ტერმინებიც „რელიგია“ და „რწმენა“ ფართოდ განიმარტება.[25] რელიგიისა და რწმენის თავისუფლება არ შემოიფარგლება ტრადიციული ან დიდი რელიგიებითა და რწმენით; არც იმ რელიგიებითა და მრწამსებით, რომელთაც აქვთ ამ ტრადიციული შეხედულებების მსგავსი ინსტიტუციონალური ნიშან-თვისებები ან პრაქტიკა.[26] რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლება იცავს თეისტური, არათეისტური

---

23 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმისათვის, რომ პირის პოზიცია მოექცეს რელიგიის ან რწმენის თავისუფლების ფარგლებში, ის „უნდა აღწევდეს დამაჯერებლობის, სერიოზულობის, ერთიანობისა და მნიშვნელოვნების გარკვეულ დონეს“ (Campbell and Cosans v United Kingdom [კემპბელი და კოსანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საჩივრის ნომრები 75111/76 და 7743/76, 1992 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება).

24 იხილეთ, „რელიგიურ უფლებებსა და პრაქტიკასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის კვლევა, რომელიც მომზადებულია დისკრიმინაციის პრევენციისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის სპეციალური მომხსენებლის მიერ“, გაერო, გაეროს დოკ. E/CN.4/Sub.2/200/Rev.1, გვ. 1, <https://undocs.org/E/CN.4/Sub.2/200/Rev.1>, სადაც ნათქვამია, რომ „რელიგიის“ განმარტების სირთულის გათვალისწინებით, ამ კვლევაში ტერმინი „რელიგია“ ან რწმენა“, სხვადასხვა თეისტური რწმენის გარდა, მოიცავს ისეთ მსოფლმხედველობებს, როგორებიცაა აგნოსტიციზმი, თავისუფალი აზრი, ათეიზმი და რაციონალიზმი“.

25 „რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, ჰაინერ ბილეფელდტი“, გაეროს დოკუმენტი, ციტ. 21, პუნქტი 38.

26 „ზოგადი კომენტარი No. 22“, პუნქტი 2, ციტ., შენიშვნა 18; „ერთობლივი დასკვნა სინდისისა და რელიგიის თავისუფლებების შესახებ კანონპროექტზე, სისხლის სამართლის კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სომხეთის რესპუბლიკასა და სომეხთა წმიდა სამოციქულო ეკლესიას შორის ურთიერთობების შესახებ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის კანონებზე“, პარ. 22–24; „ერთობლივი შუალედური დასკვნა სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონში, სისხლის სამართლის კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და სომხეთის რესპუბლიკის ქველმოქმედების შესახებ კანონში ცვლილებებსა და დამატებებზე“, OSCE/ODIHR და ვენეციის კომისია, CDL-AD (2010) 054, 2010 წლის 22 დეკემბერი, პუნქტი 43, http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2010)054-e (შემდგომში „ერთობლივი დასკვნა სომხეთის შესახებ“); Grzelak v Poland [გრზელაკი პოლონეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (განცხადება No. 7710/02, 2010 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება), პუნქტი 85; Kokkinakis v Greece [კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (საჩივარი No. 14307/88, 1993 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება), პუნქტი 31; და Buscarini and Others v San Marino [ბუსკარინი და სხვები სან მარინოს წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (საჩივარი No. 24645/94, 1999 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება), პუნქტი 34.

და ათეისტური რწმენის მქონე ადამიანებს, და ასევე პირის უფლებას, არ აღიაროს არცერთი რელიგია ან მრწამსი.[27] ეს ნიშნავს, რომ ახლად ჩამოყალიბებული რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების და რელიგიურ უმცირესობებად მიჩნეული ჯგუფების უფლებები დომინანტური რელიგიური გაერთიანებების თანასწორად უნდა იყოს დაცული.[28]

რელიგიის ან რწმენის თავისუფლება არის ადამიანის უფლებათა ფართო ჩარჩოს ნაწილი და მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის სხვა საყოველთაო უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან, როგორიცაა გამოხატვის თავისუფლება,[29] შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება,[30] და დისკრიმინაციის აკრძალვა. ამის შესაბამისად, კიევის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ „აზრის, სინდისის, რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და ყველა სხვა ადამიანის უფლება და ძირითადი თავისუფლება არის ურთიერთდამოკიდებული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამაძლიერებელი“.[31]

რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შიდა განზომილება (*forum internum*) არის ადამიანის თავისუფლება, ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან რწმენა საკუთარი არჩევანით, რაც ასევე მოიცავს

---

27 ზოგადი კომენტარი No. 22, პუნქტი 2, ციტ., შენიშვნა 18; ერთობლივი დასკვნა სომხეთის შესახებ, პუნქტები 46–47, op. ციტ., შენიშვნა 26.

28 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა, რომ „ის ფაქტი, რომ რელიგია აღიარებულია სახელმწიფო რელიგიად, ან ჩამოყალიბებულია, როგორც ოფიციალური ან ტრადიციული, ან რომ მისი მიმდევრები შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას“, ვერ გაამართლებს სხვა რელიგიის ან რწმენის მიმდევართა მიმართ დისკრიმინაციას, ციტ., შენიშვნა 18.

29 რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართების შესახებ დეტალური ანალიზისა და განხილვისთვის იხილეთ: „რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში“, გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს დოკ. A/HRC/31/18, 2015 წლის 23 დეკემბერი, <https://undocs.org/A/HRC/31/18>.

30 გზამკვლევი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ, OSCE/ODIHR და ვენეციის კომისია (ვარშავა: ODIHR, 2010), მე-2 გამოცემა, <https://www.osce.org/odihr/73405>; და გზამკვლევი გაერთიანების თავისუფლების შესახებ, OSCE/ODIHR და ვენეციის კომისია (ვარშავა: ODIHR, 2015), <https://www.osce.org/odihr/132371>.

31 „ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა“, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 1993 წლის 25 ივნისი, <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/vienna.aspx>.

უფლებას, შეიცვალოს რელიგია ან რწმენა.[32] ადამიანის შინაგანი თავისუფლება – ჰქონდეს, მიიღოს ან შეიცვალოს რელიგია – არ ექვემდებარება იმ შეზღუდვებს, რომელიც დადგენილია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-18 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლებით. შესაბამისად, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგანი განზომილება (*forum internum*) სარგებლობს აბსოლუტური დაცვით.[33]

რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლებით, რომელიც რელიგიის ან რწმენის თავისუფლების გარეგანი განზომილებაა (*forum externum*), დაცულია ქმედებათა ფართო სპექტრი. ეუთოს ვალდებულებები და საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები იცავს რელიგიისა და რწმენის სხვადასხვა ინდივიდუალურ და კოლექტიურ გამოხატვას. რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ღვთისმსახურების, რელიგიის ან მრწამსის სწავლების, პრაქტიკისა და რიტუალების აღსრულების თავისუფლებას.[34] შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი ურთიერთკვეთა ამ სხვადასხვა ტიპის გამოხატვას შორის. რელიგიის ან რწმენის გამოხატვასთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით მისი კოლექტიური, სათემო განზომილებები, დეტალურად არის განხილული ეუთოს 1989 წლის ვენის დოკუმენტში.[35]

---

32 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 9(1); კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990, პარაგრაფი 9.4, ციტ., შენიშვნა 16; კიევის დოკუმენტი 2013; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 18. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტთან დაკავშირებით, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ზოგად კომენტარში No. 22 განმარტა, რომ მე-18 მუხლი მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებასაც.

33 ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მუხლი 12(2) უზრუნველყოფს მსგავს დაცვას. იხილეთ ზოგადი კომენტარი No. 22, პუნქტი 3, ციტ., შენიშვნა 18.

34 ზოგადი კომენტარი No. 22, ციტ., შენიშვნა 18, განხილულია რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება.

35 აღნიშნული გამოხატვის ფორმების სრული ჩამონათვალისთვის იხილეთ ვენის დოკუმენტი 1989, პუნქტი 16.4, ციტ., შენიშვნა 16. მაგალითები მოიცავს რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობას და ქონას, საკუთარი იერარქიული და ინსტიტუციური სტრუქტურის მიხედვით ორგანიზებას, პერსონალის შერჩევას, დანიშვნასა და შეცვლას, რელიგიური ლიტერატურის შექმნას, იმპორტსა და გავრცელებას და ნებაყოფლობითი ფინანსური და სხვა სახის შემოწირულებების მოთხოვნასა და მიღებას.

გარკვეული შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლებაზე[36] და ეს შეზღუდვები არის მკაფიოდ შემოფარგლული. აუცილებელია, რომ ასეთი შეზღუდვები იყოს გამართლებული, ხოლო ნებისმიერი შეზღუდვის დასაბუთების ტვირთი ყოველთვის ეკისრება სახელმწიფოს. თითოეული შეზღუდვა არის მცირე გამონაკლისი წესიდან, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს რელიგიის ან რწმენის თავისუფლებით სრულად სარგებლობის უფლება. ეუთოს ვალდებულებები ადგენს, რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლება არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მონაწილე სახელმწიფოების საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებებსა და პრინციპებს.[37]

იმისათვის, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ჩაითვალოს დასაშვებად, ის უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს:

a. შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით;[38]

b. შეზღუდვა მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;[39]

---

36 შეზღუდვები კონცეპტუალურად განსხვავდება კანონიდან გადახვევისაგან, რაც დაუშვებელად არის მიჩნეული.

37 ვენის დოკუმენტი 1989, პუნქტი 17, თხზ. ციტ., შენიშვნა 16; კოპენჰაგენი, დოკუმენტი 1990, თხზ. ციტ., შენიშვნა 16, პუნქტი 9.4. აგრეთვე, ეუთოს მინისტერიალის საბჭოს გადაწყვეტილება No. 3/13, op. ციტ., შენიშვნა 8.

38 სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 18(3); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 9(2); ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მუხლი 12(3); ვენის დოკუმენტი 1989, ციტ., შენიშვნა 16; კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990, პარაგრაფი 9.4, ციტ., შენიშვნა 16.

39 სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 18(3); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 9(2), რომელიც განსაზღვრავს შეზღუდვების საფუძვლების რაოდენობას: „საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებით, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა“; ადამიანის

c. შეზღუდვა აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს ერთ-ერთი ზემოჩამოთვლილი მიზნის მიღწევას და უნდა იყოს ამ მიზნის პროპორციული;[40] და

d. შეზღუდვა არ უნდა დაწესდეს დისკრიმინაციული მიზნებისთვის და არ უნდა იყოს გამოყენებული დისკრიმინაციულად.[41]

რელიგიის ან რწმენის თავისუფლების, როგორც ადამიანის წარუვალი უფლების მქონე სტატუსის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ შესაძლო შეზღუდვების კრიტერიუმები გამოყენებულ იქნეს მაქსიმალური სიფრთხილითა და სიზუსტით. სახელმწიფომ რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მიმართოს უფლების შეზღუდვას და გამოიყენოს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა. შესაძლო შეზღუდვის დებულებების ფარგლების ინტერპრეტაციისას, სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ რელიგიის ან რწმენის თავისუფლების ღია და ფართო გაგებით და სრულად უზრუნველყონ ამ უფლების დაცვა, როგორც ეს არის გარანტირებული საერთაშორისო სამართლით.[42]

იმისათვის, რომ შეზღუდვა იყოს „კანონით გათვალისწინებული“, საკანონმდებლო დებულება, რომელიც აწესებს შეზღუდვას, უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი. ამისათვის კი აუცილებელია, რომ აღნიშნული კანონი ჩამოყალიბებული იყოს სათანადო სიზუსტით, რათა ადამიანებს ან პირთა ჯგუფებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაარეგულირონ საკუთარი ქცევა. გარდა ამისა,

---

უფლებათა ამერიკული კონვენცია, მუხლი 12, რომელიც ადგენს უფლების შეზღუდვის საფუძვლების რაოდენობას: „საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა თუ თავისუფლებების დაცვა“.

40 სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 18(3); ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მუხლი 12; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 9(2) („აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ინტერესებისთვის ...“).

41 ზოგადი კომენტარი No. 22, პუნქტი 8, ციტ., შენიშვნა 18.

42 იქვე. „შესაძლო შეზღუდვის დებულებების ფარგლების განმარტებისას, ხელშემკვრელი სახელმწიფოები უნდა ხელმძღვანელობდნენ აუცილებლობით, დაიცვან პაქტით გარანტირებული უფლებები... გათვალისწინებული შეზღუდვები... არ უნდა იქნეს გამოყენებული იმგვარად, რომ შეილახოს მე-18 მუხლით გარანტირებული უფლებები“.

დაუშვებელია, კონკრეტულ ინდივიდებსა და ჯგუფებს შეზღუდვები დაუწესდეთ რეტროაქტიულად ან თვითნებურად; შეზღუდვები არ შეიძლება იყოს დაწესებული ისეთი წესებით, რომლებიც თითქოს კანონებია, მაგრამ იმდენად ბუნდოვანია, რომ მკაფიოდ ვერ გამოხატავს კანონის მოთხოვნას ან იძლევა მათი თვითნებურად აღსრულების შესაძლებლობას.[43]

ლეგიტიმურობა: „ლეგიტიმური მიზნის“ კრიტერიუმი ნიშნავს, რომ შეზღუდვები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ისინი გათვალისწინებული იყო რელიგიის ან რწმენის თავისუფლების დებულებებში. შეზღუდვების დაწესება დაუშვებელია ისეთი საფუძვლით, რომელიც არ არის მითითებული საერთაშორისო დოკუმენტებში, მაშინაც კი, თუ ამ საფუძვლით დაშვებულია ადამიანის სხვა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვა[44]. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „უსაფრთხოებას“ ან „ეროვნულ უსაფრთხოებას“ საერთაშორისო სამართალი არ აღიარებს რელიგიის ან რწმენის თავისუფლების გამოხატვის შეზღუდვის დასაშვებ საფუძვლად.

აუცილებლობა: შეზღუდვები უნდა იყოს „აუცილებელი“ რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესახებ დებულებებში მითითებული შეზღუდვის საფუძვლების შესაბამისად. იმისათვის, რომ შეზღუდვა აუცილებელი იყოს, ის პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს და იყოს პროპორციული იმ კონკრეტული საჭიროების, რომლისთვისაც დაწესდა,[45] ხოლო ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას და უნდა იყოს დასახული ლეგიტიმური

43 „ერთობლივი დასკვნა სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ ყირგიზეთის რესპუბლიკაში“, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისი და ვენეციის კომისია, CDL-AD(2008)032, 2008 წლის 28 ოქტომბერი, <http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2008)032-e>.

44 ზოგადი კომენტარი No. 22, ციტ., შენიშვნა 18.

45 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 18(3); ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მუხლი 12(3); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 9(2).

მიზნის პროპორციული.[46] „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ ცნება ვიწროდ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული.[47]

პროპორციულობა: იმისათვის, რომ ჩარევა ჩაითვალოს „პროპორციულად“, უნდა არსებობდეს ლოგიკური და მყარი კავშირი ლეგიტიმურ მიზანსა და მის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებებს შორის. უსაფრთხოების კონტექსტშიც კი, ადამიანის უფლებების შესაზღუდად მიღებული ზომები მათი დამცავი ფუნქციის მიღწევის შესაბამისი უნდა იყოს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მიღებული ზომა შესაძლოა საკმარისი იყოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კონკრეტული მიზნის მისაღწევად, ვერ დააკმაყოფილებს პროპორციულობის მკაცრ ტესტს. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ შეზღუდვა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად უკიდურესად აუცილებელი და გამოყენებული იყოს ყველაზე ნაკლებმზღუდავი საშუალება.[48]

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ შეზღუდვა არ შეიძლება დაწესდეს დისკრიმინაციული მიზნებისთვის ან გამოყენებულ იქნეს დისკრიმინაციული გზით.[49] როგორც ზოგადი პრინციპი, განსხვავებული მიდგომა ჩაითვლება არაპირდაპირ დისკრიმინაციად, თუკი მას არ აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება ან არაპროპორციულია იმ მიზნის, რომელსაც სავარაუდოდ ემსახურება. რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა

---

46 Wingrove v. The United Kingdom [უინგროვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (განაცხადი No. 17419/90, 1996 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება), პარაგრაფი 53.

47 Svyato-Mykhaylivska Parafiya v. Ukraine [სვიატო-მიხაილივსკის მრევლი უკრაინის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (საჩივარი No. 77703/01, 2007 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება), პუნქტი 116; Gorzelik and Others v. Poland [გორზელიკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (საჩივარი No. 44157/98, 2004 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება), პუნქტები 94–95.

48 იხილეთ ერთობლივი დასკვნა და შუალედური ერთობლივი დასკვნა სომხეთის შესახებ, ციტ., შენიშვნა 26.

49 ზოგადი კომენტარი No. 22, პუნქტი 8, ციტ., შენიშვნა 18. ეუთომ აღიარა დისკრიმინაციისგან დაცვის აუცილებლობა მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების დასამყარებლად. მაგალითად, იხილეთ „ეუთოს სტრატეგიის დოკუმენტი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი განზომილებისთვის“, ეუთო, 2003 წლის 2 დეკემბერი, <https://www.osce.org/eea/20705>.

და უსაფრთხოების კონტექსტში, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ იქნეს მიღებული ზომები, რომლებიც რელიგიის ან რწმენის საფუძველზე ახდენს დისკრიმინაციას.

3. რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და უსაფრთხოება: სახელმძღვანელო პრინციპები

ამ თავში წარმოდგენილია პრინციპების ნუსხა, რომელიც დაეხმარება ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებს, შეიმუშაონ და განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებები, პოლიტიკა და კანონმდებლობა როგორც რელიგიის ან რწმენის თავისუფლების, ისე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელო პრინციპები ემყარება ყოვლისმომცველი უსაფრთხოების მიმართ ეუთოს მიდგომას. ეს პრინციპები არ არის ამომწურავი, მაგრამ თანხვედრაშია ადამიანის უფლებების განზომილების სფეროში ეუთოს ვალდებულებების სრულ სპექტრსა და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან.[50] მეოთხე თავში წარმოდგენილი ანალიზი და რეკომენდაციები ქვემოთ მოცემული შვიდი სახელმძღვანელო პრინციპის გათვალისწინებით უნდა იყოს წაკითხული.

50 ვალდებულებების სრული ჩამონათვალისთვის იხილეთ სქოლიო 16.

სახელმძღვანელო პრინციპები

1. აუცილებელია ისეთი საგანმანათლებლო ზომების გატარება, რომლებიც ხელს უწყობს რელიგიური და სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემას. ეს საგანმანათლებლო ღონისძიებები:[51]

   a. უნდა მოეწყოს არა მხოლოდ სკოლებში, არამედ სხვა სახის დაწესებულებებშიც (მაგალითად, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, კულტურული მემკვიდრეობის ცენტრებში);

   b. მიზნად უნდა ისახავდეს სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის შესახებ მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას, რაც ხელს შეუწყობს რელიგიურ გაუნათლებლობასთან ბრძოლას, რადგან სწორედ ამგვარი განათლების ნაკლებობა უდევს საფუძვლად ნეგატიურ სტერეოტიპებს, არასწორ აღქმებსა და რელიგიურ ცრურწმენებს;

   c. უნდა ქმნიდეს სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის მქონე ადამიანებისთვის, მათ შორის, არამორწმუნეთათვის, ბუნებრივ გარემოში შეხვედრის და მრავალფეროვნების გაზიარების შესაძლებლობას;

   d. საგანმანათლებლო ღონისძიებებმა უნდა აღჭურვონ მონაწილეები სათანადო ცოდნით, მიდგომებით, ღირებულებებითა და უნარებით, რაც მათ დაეხმარება მრავალფეროვან გარემოში ღირსეულ თანაცხოვრებაში;

   e. უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის ღირსებისა და თითოეული ადამიანის უფლების პატივისცემას; და

---

51 იხ, მაგალითად, ვენის დოკუმენტი 1989, კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990, ბუდაპეშტი 1994, პორტო 2002, სოფიის დოკუმენტი 2004, ლუბლიანა 2005, ბრიუსელის დოკუმენტი 2006 და მადრიდი 2007.

f. მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი კონფლიქტების შემცირებას, რომელთაც საფუძვლად უდევს სხვა ადამიანების რწმენის არასაკმარისი გაგება.

2. აუცილებელია ცნობიერების ამაღლების პროგრამების არსებობა, რომლებიც მიზნად ისახავს ფართო საზოგადოების ინფორმირებას რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების, მათი უფლებების და რელიგიური და სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ. ცნობიერების ამაღლების პროგრამები:[52]

a. უნდა შემუშავდეს და ჩატარდეს სახელმწიფოსა და სხვა დაინტერესებული მხარეების ურთიერთთანამშრომლობის გზით, როგორებიცაა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, კულტურული მემკვიდრეობის დაწესებულებები, საგანმანათლებლო წრეების წარმომადგენლები, მედია და რელიგიური და სარწმუნოებრივი თემები;

b. უნდა ზრდიდეს საზოგადოების მგრძნობელობას რელიგიური ან სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების არსებობისა და მასთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ;

c. ხაზს უნდა უსვამდეს რელიგიური და სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების, როგორც საზოგადოებების ურთიერთგამდიდრების წყაროს მნიშვნელობას და ღირებულებას; და

d. განსხვავებული რელიგიებისა და რწმენის მიმართ პატივისცემის და მიმღებლობის ხელშეწყობის გზით, მიზნად უნდა ისახავდეს ისეთი ნეგატიური სტერეოტიპების შემცირებას, რომლებიც ახალისებს დისკრიმინაციას, შუღლსა და შეუწყნარებლობას საზოგადოებაში.

---

52 იხ., მაგალითად, ბუქარესტი 2001, ლუბლიანა 2005 და ბრიუსელის დოკუმენტი 2006.

3. მნიშვნელოვანია ინტერრელიგიური და ინტერსარწმუნოებრივი დიალოგი და თანამშრომლობა, რომელიც ებრძვის რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობას და დისკრიმინაციას, ხელს უწყობს ურთიერთგაგებასა და ურთიერთპატივისცემას სხვადასხვა რელიგიისა თუ რწმენის მქონე ინდივიდებსა და თემებს შორის და აუმჯობესებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ხარისხს ყველა ადამიანისთვის. ამგვარი დიალოგი და თანამშრომლობა:[53]

a. ხელს უნდა უწყობდეს რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ავტონომიურობის პატივისცემას;

b. პატივს სცემდეს ამგვარ ფორმატში რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების მონაწილეობის ნებაყოფლობითობას;

c. ასახავდეს რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების არსებულ მრავალფეროვნებას, მათ შორის, ახლად დაარსებული და მცირე თემების ჩართულობას, განსაკუთრებით, თუკი ეს დიალოგი და პარტნიორობა მხარდაჭერილი და ხელშეწყობილია სახელმწიფოს მიერ;

d. რამდენადაც შესაძლებელია, უნდა უზრუნველყოფდეს ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობას, ასევე, ახალგაზრდების არსებით და მიზნობრივ ჩართულობას, განსაკუთრებით, თუკი ეს დიალოგი და პარტნიორობა მხარდაჭერილი და ხელშეწყობილია სახელმწიფოს მიერ; და

e. უნდა მოიცავდეს არაფორმალურ აქტივობებს, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარ ღონისძიებებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ყველა ადამიანისთვის რელიგიის ან რწმენის თავისუფლების ხარისხის გაძლიერების, ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის ხელშეწყობის საქმეში.

---

53 იხილეთ, მაგალითად, მაასტრიხტის დოკუმენტი 2003, ლუბლიანა 2005 და ეუთოს მინისტერიალის საბჭოს გადაწყვეტილება No. 3/13.

4. აუცილებელია, მონაწილე სახელმწიფოებსა და რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს შორის არსებობდეს დიალოგისა და ჩართულობის ინიციატივები რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ეს ინიციატივები:[54]

   a. ხელს უნდა უწყობდეს ყველა ადამიანის რელიგიის ან რწმენის თავისუფლების, ისევე როგორც ადამიანის სხვა უფლებების დაცვას;

   b. უნდა აღკვეთდეს და ებრძოდეს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციას და შეუწყნარებლობას, მათ შორის, მტკიცე და მყისიერი საჯარო დაგმობის გზით, დაუპირისპირდეს ნებისმიერი სახის სიძულვილის გამომხატველ ქმედებას, რომელიც დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებას უტოლდება;

   c. უნდა უზრუნველყოფდეს ფართო და მდგრად უსაფრთხოებას;

   d. უნდა იყოს ღია საზოგადოებაში არსებული რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების სრული სპექტრის მონაწილეობისთვის;

   e. პატივს უნდა სცემდეს რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ავტონომიურობას;

   f. პატივს უნდა სცემდეს ამგვარ ინიციატივებში რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების მონაწილეობის ნებაყოფლობითობას;

   g. არ უნდა შემოიფარგლებოდეს ეროვნული ან ფედერალური დონით, არამედ ასევე უნდა განხორციელდეს ადგილობრივ და მუნიციპალურ დონეებზეც;

54 იქვე.

h. ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს კომუნიკაციის ღია არხების არსებობას და დიალოგისა და ჩართულობის რეგულარულ ხასიათს; და

i. უნდა ემსახურებოდეს ცნობიერების ამაღლებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლის შესრულება შეუძლიათ რელიგიურ და სარწმუნოებრივ თემებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების გადაჭრაში; ასევე, წახალისებული უნდა იყოს ამ ძალისხმევაში რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების პროაქტიული ჩართულობა.

5. აუცილებელია ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს უკვე არსებული ან ახლად აღმოცენებული რელიგიური ან სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების პატივისცემას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია მშვიდობიანი, უსაფრთხო და ერთიანი საზოგადოების არსებობისთვის. ეს პოლიტიკა:[55]

a. უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ზოგადად ძალადობა არ იყოს ასოცირებული რელიგიასთან არ რწმენასთან;

b. უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ძალადობა არ ასოცირდებოდეს რომელიმე კონკრეტულ რელიგიასთან ან რწმენასთან;

c. უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ცალკეული პირების ან პირთა ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობრივი ხასიათის ქმედებები არ მიეწერება რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემს;

d. უნდა უზრუნველყოფდეს, რომ რელიგიურ ან სარწმუნოებრივ პლურალიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოწვევა ან დაძაბულობა არ იქნება გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის;

55 იხილეთ, მაგალითად, პორტო 2002, ლუბლიანა 2005.

e. უნდა ახალისებდეს მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომ მათ მკაცრად და დაუყოვნებლივ დაგმონ სიძულვილის მხარდამჭერი ნებისმიერი ქმედება, რაც უტოლდება დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებას.

6. აუცილებელია ისეთი კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს რელიგიის ან რწმენის თავისუფლებას ყველასთვის; კონსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ პრინციპებს:[56]

a. რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და ადამიანის სხვა უფლებების პატივისცემა უსაფრთხოების უზრუნველყოფის განუყოფელი ნაწილია;

b. როდესაც ზომები, რომლებიც ზღუდავს რელიგიის ან რწმენის თავისუფლებას, აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევებში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ყოვლისმომცველი და მდგრადი უსაფრთხოება მიიღწევა მხოლოდ მაშინ, თუკი ეს ზომები პატივს სცემს ადამიანის ღირსებას და ადამიანის უფლებებს;

c. რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შემზღუდავი ზომების შემუშავებისა და განხორციელებისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის განსხვავებული გავლენა, რომელიც ამ ზომებს შეიძლება ჰქონდეთ კაცებსა და ქალებზე;

d. რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შემზღუდავი ზომების შემუშავებისა და განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის განსხვავებული გავლენა, რომელიც ამ ზომებს შეიძლება ჰქონდეს მოწყვლად ჯგუფებზე, მათ შორის, ბავშვებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე,

---

56 იხილეთ, მაგალითად, 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი, ვენის დოკუმენტი 1989, კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990 და ეუთოს მინისტერიალის საბჭოს გადაწყვეტილება No.3/13.

ეროვნულ უმცირესობებზე, რელიგიურ ან სარწმუნოებრივ უმცირესობებზე, არამორწმუნეებზე, სხვა რელიგიაზე ან რწმენაზე მოქცეულ პირებზე, თავშესაფრის მაძიებლებზე, მიგრანტებზე და ლტოლვილებზე;

e. კანონები, რეგულაციები, პრაქტიკა და პოლიტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, მათ შორის, ეთნიკური, გენდერული, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან რწმენის ნიშნით;

f. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები უნდა განიხილებოდეს კონკრეტული სისხლის სამართლის ან საზოგადოებრივი წესრიგის კანონმდებლობით და არა კანონებით, რომლებიც შექმნილია უსაფრთხოების სახელით რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესაზღუდად;

g. რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შემზღუდავი ზომები გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით;

h. შეზღუდვის საფუძველი მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და შეზღუდვები უნდა იყოს აუცილებელი იმ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, რომლებიც ამომწურავად არის ჩამოთვლილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18(3) მუხლში; და

i. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ეფექტიანი საშუალება, გაასაჩივრონ შემზღუდავი ზომები და/ან ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ ზომების განსახორციელებლად იყო მიღებული, ან მოითხოვონ მათი გადახედვა.

7. რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შემზღუდავი ნებისმიერი სამართლებრივი ზომა, რომელსაც მონაწილე სახელმწიფოები მიიჩნევენ საჭიროდ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:[57]

   a. სამართლებრივი ზომა უნდა მიემართებოდეს უშუალოდ დანაშაულებრივ ან უკანონო ქმედებას და არა აზრს ან რწმენას;

   b. სამართლებრივი ზომები გამოყენებული უნდა იყოს ცალკეული პირების ან ჯგუფების უკანონო ქმედებების და არა მათი რელიგიის ან რწმენის გამო;

   c. კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინები უნდა იყოს მკაფიოდ განმარტებული, რათა თავიდან ავიცილოთ ბუნდოვნად განმარტებული ტერმინები, რომლებიც ფართოდ და განსხვავებულად შეიძლება იყოს ინტერპრეტირებული და თვითნებურად გამოყენებული;

   d. სანქციები არ უნდა დაუწესდეთ რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს მათი წევრი ცალკეული პირების ან ჯგუფების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების გამო;

   e. სამართლებრივი ზომები უნდა იყოს არადისკრიმინაციული, მათ შორის, ეთნიკური, გენდერული, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის საფუძველზე;

   f. სამართლებრივი მექანიზმები გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა;

---

57 იხილეთ, მაგალითად, ვენის დოკუმენტი 1989, კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990, ეუთოს მინისტერიალის საბჭოს გადაწყვეტილება No. 3/13 და დეკლარაცია No. 1/16, „ეუთოს ძალისხმევის გაძლიერება ტერორიზმის პრევენციისა და დაძლევის მიზნით“, ჰამბურგი, 2016. იხილეთ აგრეთვე ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ეუთოს ვალდებულებების მიმოხილვა (ბოლო განახლება 2018 წლის მარტში), <https://www.osce.org/node/26365?download=true>.

g. სამართლებრივი ზომა უნდა იყოს დასახულ ლეგიტიმურ მიზანთან პირდაპირ კავშირში და პროპორციული და წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდავ საშუალებას; და

h. უნდა არსებობდეს სახელმძღვანელო მითითებები, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სამართლებრივი ზომების ბოროტად გამოყენების, ასევე ოფიციალური პირებისა და სხვა საჯარო მოხელეების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა.

ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი სამი პუნქტი:

1. სახელმძღვანელო პრინციპები უნდა განიხილებოდეს, როგორც რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის იმ ჰოლისტური მიდგომის ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია ჰელსინკის დასკვნით აქტში და ასახულია ეუთოს შემდგომ ვალდებულებებში. მიუხედავად იმისა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეუთოს წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებები არიან პასუხისმგებელნი, უზრუნველყონ უსაფრთხოება და დაიცვან რელიგიის ან რწმენის თავისუფლება, ამავდროულად, რელიგიურ ან სარწმუნოებრივ ჯგუფებს,[58] ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათ შორის, რწმენაზე დაფუძნებულ და ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებს, ისევე როგორც მედიას, მნიშვნელოვანი როლი აქვთ რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხების შეკავშირებაში;

58 ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით No.3/13 ეუთო მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს „ხელი შეუწყონ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების დროულ ჩართულობას შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების საჯარო განხილვაში“, ციტ., შენიშვნა 8.

2. ადამიანური განზომილების ფარგლებში ყველა ვალდებულების სრული შესრულების გზით, მონაწილე სახელმწიფოები შეუქმნიან სათანადო პირობებს არასახელმწიფო აქტორებს, რათა მათაც შეიტანონ წვლილი მდგრადი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში; და

3. რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები ვერ გადაიჭრება სახელმწიფოს მიერ მხოლოდ სამართლებრივი სანქციების გატარების გზით. გამოწვევებთან გამკლავება, პირველ რიგში, უნდა მოიცავდეს არაშემზღუდავი ზომების ფართო სპექტრს, როგორებიცაა, მაგალითად, საგანმანათლებლო ღონისძიებები, ცნობიერების ამაღლების პროგრამები, ინტერრელიგიური და ინტერსარწმუნოებრივი დიალოგი და პარტნიორობა და საზოგადოების ჩართულობა.

4. რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები და რეკომენდაციები

ამ თავში განხილული იქნება ოთხი საკითხი, რომლებიც რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას შორის კვეთას უკავშირდება. ოთხივე საკითხი – რეგისტრაცია, „ექსტრემისტული“ სიტყვა (რიტორიკა) და ლიტერატურა, საღვთისმსახურო ადგილების ჩხრეკა და რელიგიური მრწამსის შეცვლა – საერთოა მთელ ევროპის რეგიონში. ისინი აქტუალურია რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და უსაფრთხოების კუთხით როგორც პოლიტიკოსებისთვის, ასევე რელიგიური თემებისთვის და აჩვენებს, თუ როგორ ხდება პრაქტიკაში რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და უსაფრთხოების ურთიერთკვეთა.

თითოეული ქვეთავის დასაწყისში ჩამოთვლილი კითხვები და პასუხები მიზნად ისახავს რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და უსაფრთხოების თემაზე არსებული მთელი რიგი რთული საკითხების განმარტებას. მათ მოჰყვება ოთხივე განხილულ საკითხთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

4.1. რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება და უსაფრთხოება

ზოგჯერ ეუთოს მონაწილე სახელმწიფოების ხელისუფლებებს მიაჩნიათ, რომ ცალკეული რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ღირებულებები, პრინციპები და სწავლებები შეუთავსებელია იმ ღირებულებებსა და პრინციპებთან, რომლებიც მათი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას აქვს. ისინი ამტკიცებენ, რომ ამ შეუთავსებლობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თანაარსებობას, სოციალურ ერთობას და, შესაბამისად, ქვეყნის უსაფრთხოებას. ასეთი შიშები მძაფრდება, როდესაც სახელმწიფოს მიერ „ექსტრემისტულად“ განხილული რელიგიური ან სარწმუნოებრივი ჯგუფები ავრცელებენ იდეებს, რომლებიც მიჩნეულია საზოგადოებრივი წესრიგისთვის, ეროვნული იდენტობისთვის, საზოგადოების ჰომოგენურობისთვის ან მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის საფრთხის შემქმნელად. ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა წუხს, რომ ასეთი რელიგიური ან სარწმუნოებრივი ჯგუფები, რეგისტრაციის პროცედურების გავლით, გახდნენ იურიდიული პირები და, შესაბამისად, მოიპოვეს სამართლებრივი სტატუსი, აღიარება, სარგებელი, შეღავათები და პრივილეგიები. ამის საფუძველზე, ხელისუფლებებმა ზოგიერთ რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემს უარი უთხრეს რეგისტრაციაზე, ან გაუუქმეს უკვე არსებული რეგისტრაცია, ან მიიღეს რეგისტრაციის შემზღუდავი კანონები და უკვე რეგისტრაციის მქონე გაერთიანებებს ხელახალი რეგისტრაციის გავლა მოსთხოვეს. ამგვარი ზომების გატარების შედეგად, ზოგიერთი რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემი ვერ ახერხებს დარეგისტრირებას და იურიდიული პირის სტატუსის მოპოვებას.

რატომ არის იურიდიული პირის საკითხი მნიშვნელოვანი რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემებისთვის?

იურიდიული პირის სტატუსზე ხელმისაწვდომობა რელიგიის ან რწმენის თავისუფლების ფარგლებში ჯდება. როდესაც თემის ორგანიზაციული საქმიანობა არ არის დაცული რელიგიის ან რწმენის თავისუფლებით, მაშინ ცალკეული პირების რწმენისა და რელიგიის თავისუფლების არაერთი ასპექტიც მოწყვლადი ხდება.[59] ეს მოიცავს ადამიანების შესაძლებლობას, აღასრულონ თავიანთი რელიგია ან რწმენა სხვებთან ერთად, რაც შედეგად საფრთხეს უქმნის თემის სიცოცხლისუნარიანობას.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად, პირთა გაერთიანებისთვის სახელმწიფოს მიერ გაცხადებული უარი იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე რელიგიის ან რწმენის საფუძველზე, უტოლდება რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლებით სარგებლობაში ჩარევას, გაერთიანების თავისუფლების კონტექსტში; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადასტურებულია, რომ გაერთიანება ეწევა უკანონო საქმიანობას.[60] შესაბამისად, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, „მორწმუნეთა თემებს, რომლებიც აღასრულებენ ან სურთ, რომ აღასრულონ საკუთარი მრწამსი თავიანთი სახელმწიფოების კონსტიტუციურ ფარგლებში, მათივე მოთხოვნის საფუძველზე უნდა მიენიჭოთ ამ კონკრეტულ ქვეყანაში მათთვის გათვალისწინებული სტატუსი“.[61]

---

59 Hasan and Chaush v. Bulgaria [ჰასანი და ჩაუში ბულგარეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (საჩივარი No. 30985/96, 2000 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება), პარაგრაფი 62.

60 Kimlya and Others v. Russia [კიმლია და სხვები რუსეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, (საჩივარი No. 76836/01 და 32782/03, 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება), პუნქტი 84; Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia [მოსკოვის იეჰოვას მოწმეები და სხვები რუსეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, (განცხადება No. 302/02, 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება), პუნქტი 101; Gorzelik and Others v. Poland [გორზელიკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პუნქტი 52; და Sidiropoulos and Others v. Greece [სიდიროპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, (საჩივარი No. 26695/95, 1998 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება), პუნქტი 31.

61 ვენის დოკუმენტი 1989, პუნქტი 16.3, ციტ., შენიშვნა 16.

მიუხედავად იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია იურიდიული პირის სტატუსი რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლებით სარგებლობისთვის[62], დაუშვებელია რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების დავალდებულება, მიიღონ ამგვარი სტატუსი, თუ ეს არ სურთ. იურიდიული პირის სტატუსის მოპოვება არის არჩევანი, რომელსაც ზოგიერთი მონაწილე სახელმწიფო სთავაზობს რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს. რეგისტრაციის სისტემის შემუშავებისას, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ პრინციპით, რომ რეგისტრაცია მიზნად ისახავს რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების საქმიანობის ხელშეწყობას და არა მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლას ან კონტროლს.[63] შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს ჰქონდეთ უფლება, მიიღონ ისეთი ტიპის და დონის იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, ისარგებლონ თავიანთ რელიგიასთან ან რწმენასთან დაკავშირებული საქმიანობის სრული სპექტრით.

რეგისტრაციის ხელმისაწვდომ სისტემას შეუძლია წაახალისოს რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემები, მათ შორის ისეთი, რომელთა მიმართაც მონაწილე სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული პრეტენზია, იმოქმედონ სამართლებრივი სისტემის საზღვრებში. გამოცდილებამ აჩვენა, რომ რეგისტრაციას

---

62 Bessarabia v. Moldova [ბესარაბია მოლდოვის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ციტ., შენიშვნა 26.; Religionsgemeinschaft der Zeugen Jehovas and Others v. Austria [იეჰოვას მოწმეთა რელიგიური გაერთიანება და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, (განაცხადი No. 40825/29, 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება); Izzettin Dogan v. Turkey [იზეთინ დოგანი თურქეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, (საჩივარი No. 62649/10, 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება). უნდა აღინიშნოს, რომ მაშინაც კი, თუ რეგისტრაცია არ არის გათვალისწინებული, არ არის გაცემული ან გაუქმებულია სახელმწიფოს მიერ, მორწმუნე და არამორწმუნე ადამიანები და რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემები მაინც ფლობენ უფლებებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

63 საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს დეტალური აღწერა, რომელიც ეხება რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემებისთვის იურიდიული პირის სტატუსის ხელმისაწვდომობას, ეუთოს ცალკეული მონაწილე სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებთან ერთად, შეგიძლიათ იხილოთ რელიგიის ან სარწმუნოებრივი თემების იურიდიული პირის სტატუსის შესახებ სახელმძღვანელოს III ნაწილში. თემები, ციტ., შენიშვნა 20.

შეუძლია ხელი შეუწყოს სტაბილური და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სახელმწიფოებსა და რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს შორის.

რატომ არის ტერმინი „ექსტრემიზმი“ პრობლემური რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების რეგისტრაციასა და მათი რეგისტრაციის გაუქმებასთან მიმართებით?

ხშირად სახელმწიფოები „ექსტრემიზმთან“ დაკავშირებული წუხილით, უსაფრთხოების დაცვის ინტერესით, ცდილობენ გაამართლონ ცალკეულ პირებზე და რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებზე მკაცრი კონტროლის საჭიროება. თუმცა „ექსტრემიზმი“ არაზუსტი ტერმინია და არ არსებობს ამ ტერმინის საყოველთაოდ მიღებული განმარტება, რაც იძლევა მისი ფართო და ბუნდოვანი ინტერპრეტირების საშუალებას და შესაძლებელს ხდის კანონის თვითნებურად გამოყენებას.

„ექსტრემიზმს“ ხშირად აიგივებენ ძალადობასთან, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს „ექსტრემისტული“ მოსაზრებიდან ძალადობრივ ქმედებამდე მიზეზობრივ კავშირზე ან ამგვარ განვითარებაზე, ან რომ „ექსტრემისტული“ აზროვნება გულისხმობს ძალადობრივი ქცევის განზრახვას, რაც გაამართლებდა სახელმწიფოს ჩარევას.[64] აქედან გამომდინარე, ძალადობრივი ექსტრემიზმის ფენომენი მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს „ექსტრემიზმის“ ცნებისგან. „ექსტრემისტული“

64 იხილეთ: „ექსპერტთა შეხვედრა უსაფრთხოების, რადიკალიზაციისა და ტერორიზმის პრევენციის შესახებ“, ეუთო, 2008 წლის 10 ოქტომბერი, <https://www.osce.org/odihr/34379>. პარაგრაფ 26-ში ნათქვამია, რომ „ვარაუდები, რომლებიც არ არის დამტკიცებული, მოიცავს სახიფათო კონცეფციებს რადიკალიზაციაზე, სადაც რელიგიური რწმენის უფრო ფუნდამენტური ფორმა გაიგივებულია ტერორისტული ტაქტიკის გამოყენების სურვილთან. ამ თეორიის თანახმად, ინდივიდი ფაქტობრივად სწორხაზოვნად მოძრაობს გავრცელებული რელიგიური შეხედულებებიდან უფრო ექსტრემალური რელიგიური შეხედულებებისა და პრაქტიკისკენ, ვიდრე გააკეთებს ნახტომს ძალადობისკენ. ეს თეორია მოკლებულია ემპირიულ მტკიცებულებას“.

შეხედულებების ქონა თავისთავად არ წარმოადგენს უსაფრთხოების კუთხით რისკს.[65]

გარდა ამისა, როდესაც „ექსტრემიზმის“ პრევენციისა და მასთან გამკლავების ზომები ფოკუსირებულია არაძალადობრივ საქმიანობაზე, ჩნდება ადამიანის უფლებების დარღვევის რისკი. აზრის ქონის უფლება და საკუთარი შეხედულებისამებრ რელიგიის ან რწმენის ქონის ან მიღების თავისუფლება, არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე სახის შეზღუდვას.[66] საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მოუწოდებს, რომ ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ექსტრემიზმი“, არ შეიძლება გამოყენებული იყოს რელიგიის ან რწმენის ლეგიტიმური გამოხატვის ჩასახშობად. ეს ტერმინები ასევე არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ ცალკეული პირების ან რელიგიური/სარწმუნოებრივი თემების წინააღმდეგ, რომელთა რწმენა არის განსხვავებული ან მიჩნეულია „უჩვეულოდ“[67]. აზრის თავისუფლებას და რელიგიის ან რწმენის თავისუფლებას ექმნება საფრთხე, როდესაც დანაშაულებრივი ქმედების მტკიცებულებების ნაცვლად, აქცენტი კეთდება რწმენასა და იდეოლოგიაზე. სწორედ ამიტომ, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზომები ეხებოდეს ქცევას და არა მოსაზრებებს ან რწმენას და ერთმანეთისგან განასხვაონ ძალადობრივი ექსტრემიზმი და

---

65 „ექსტრემიზმის“ ცნებისა და მისი შედეგების კრიტიკისთვის იხილეთ: „გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“, გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს დოკუმენტი, ადამიანის უფლებათა საბჭო/31/65, 2016 წლის 29 აპრილი, პარ. 21–22, https://undocs.org/en/A/HRC/31/65.

66 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლი არ უშვებს რაიმე შეზღუდვას აზრისა და სინდისის თავისუფლებაზე. ეს თავისუფლება დაცულია უპირობოდ, ისევე, როგორც ამ პაქტის 19.1 მუხლით, დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანის აზრის ქონის უფლებაში ჩარევა.

67 იხილეთ: „კომენტარები ყირგიზეთის რესპუბლიკის რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონში ცვლილებებსა და დამატებებზე“, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2012 წლის 22 მარტი, პუნქტები 18–19, <http://www.legislationonline.org/documents/id/16881>.

„ექსტრემიზმი“.[68] მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ „ექსტრემიზმის“ საწინააღმდეგო ზომების გატარებისგან, თუ არ არსებობს ძალადობრივ ქმედებებთან ან ამგვარი ქმედებების წაქეზებასთან კავშირის მტკიცებულება.

რა საფუძვლები არსებობს იმისთვის, რომ რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს უარი ეთქვათ იურიდიული პირის სტატუსზე ან გაუუქმდეთ რეგისტრაცია?

რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემებისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის ან რეგისტრაციის გაუქმების სერიოზული შედეგების გათვალისწინებით, ნებისმიერი გადაწყვეტილება ამ კუთხით მკაცრად უნდა იყოს დასაბუთებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18(3) მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. ვინაიდან იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარი და რეგისტრაციის გაუქმება წარმოადგენს უკიდურეს ზომებს, ამგვარი ქმედება მოითხოვს განსაკუთრებით მყარ დასაბუთებას, რომ არის გამოყენებული ზომის პროპორციული. ისინი შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ მძიმე და განმეორებითი ხასიათის დარღვევების შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და მაშინ, როდესაც უფრო მსუბუქი სანქციები, როგორიცაა გაფრთხილება, ჯარიმა ან საგადასახადო შეღავათების გაუქმება, ვერ იქნება ეფექტიანი ზომა.[69]

რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარი ან რეგისტრაციის გაუქმება არ შეიძლება

---

68 „გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიში“, გაეროს გენერალური ასამბლეა, UN Doc A/HRC/33/29, 2016 წლის 21 ივლისი, პუნქტი 6.1, <http://www.undocs.org/A/HRC/33/29>;
„დასკვნა რუსეთის ფედერაციაში ექსტრემისტულ საქმიანობასთან ბრძოლის შესახებ ფედერალური კანონის შესახებ“, ვენეციის კომისია, CDL-AD(2012)016, 2012 წლის 20 ივნისი, პარაგრაფი 59, <http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2012)016-e>.

69 „აზერბაიჯანის რესპუბლიკის რელიგიური მრწამსის თავისუფლების შესახებ კანონი“, CDL-AD(2012)022, 2012 წლის 15 ოქტომბერი, პარ. 93–94, <http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2012)022-e>.

ეფუძნებოდეს უსაფრთხოების სავარაუდო რისკებს, არამედ უნდა ემყარებოდეს კონკრეტული რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის უკანონო ქმედებების მტკიცებულებებს. ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, ეს ზომები შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელ ნაბიჯად მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომ კონკრეტული რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემი ჩართულია დანაშაულებრივ ან სხვა ისეთ ქმედებებში, რომელიც ექცევა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ რელიგიის ან რწმენის კოლექტიური გამოხატვის შეზღუდვების ფარგლებში. მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ ცალკეული პირები ან რელიგიური/სარწმუნოებრივი თემები სჩადიან ძალადობას ან ეწევიან სიძულვილის ადვოკატირებას, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებას, ან რაიმე სხვა გზით არღვევენ სხვათა უფლებებს და თავისუფლებებს.

დაუდასტურებელი პრეტენზია, რომ ცალკეული მორწმუნეები ან თუნდაც რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის ლიდერები ჩართული არიან ძალადობრივ ექსტრემისტულ საქმიანობაში, ე.ი. ეწევიან ისეთ ქმედებებს, რომელიც მოიცავს ძალადობას ან ძალადობის წაქეზებას, არ არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ მთელ თემს უარი ეთქვას იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე ან გაუუქმდეს არსებული რეგისტრაცია. ის ფაქტი, რომ ცალკეული პირები სჩადიან ასეთ ქმედებებს, არ არის იმის მანიშნებელი, რომ მთელი რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემი იზიარებს ამ შეხედულებებს ან ამართლებს აღნიშნულ საქმიანობას. ასეთ შემთხვევებში, პირადი და ჯგუფური ქმედებები და პასუხისმგებლობები ყოველთვის უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან. ამდენად, ცალკეული პირების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებზე რეაგირება უნდა მოხდეს კონკრეტულად ამ პირის წინააღმდეგ სისხლის, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართალწარმოების გზით, და არ უნდა იყოს მიმართული მთლიანად რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემზე.[70]

---

70 ერთობლივი შუალედური დასკვნა: „სომხეთის რესპუბლიკის სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და

იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარი ან რეგისტრაციის გაუქმება უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის და/ან სასამართლო განხილვის ეფექტიან პროცესს.[71] გასაჩივრების პროცესი უნდა იყოს სწრაფი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარი ან რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების რეგისტრაციის გაუქმება არ უნდა იყოს დაშვებული მანამ, სანამ გასაჩივრების ყველა მექანიზმი არ ამოიწურება.

არის თუ არა იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარი ან რეგისტრაციის გაუქმება ეფექტიანი ინსტრუმენტი ტერორიზმის გამომწვევი ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ საბრძოლველად?

იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარისა და რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების რეგისტრაციის გაუქმების ეფექტიანობა ტერორიზმის გამომწვევ ძალადობრივ ექსტრემიზმსა და რადიკალიზაციასთან საბრძოლველად, დადასტურებული არ არის. პირიქით, გარდა იმისა, რომ პოტენციურად დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესებით ირღვევა ცალკეული პირების და რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების რელიგიის ან რწმენის თავისუფლება, ასეთ ზომებს შეიძლება მოჰყვეს მთელი რიგი გაუთვალისწინებელი, უარყოფითი შედეგები. ამგვარმა ზომებმა შესაძლოა გაამძაფროს თემში აღქმა, რომ მათ უსამართლოდ და დისკრიმინაციულად ეპყრობიან და, შედეგად, უფრო მოწყვლადი გახადონ ისეთი შეხედულებების მიმართ, რომლებიც შესაძლოა მიჩნეული იყოს ძალადობრივი ექსტრემიზმის ან ტერორისტული

ქველმოქმედების შესახებ კანონში ცვლილებების შესახებ“, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი და ვენეციის კომისია, პუნქტი 92, ციტ., შენიშვნა 26.

71 Jehovah’s Witnesses of Moscow and Others v. Russia [მოსკოვის იეჰოვას მოწმეები და სხვები რუსეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (განაცხადი No. 302/02, 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება), პარ. 175; „უნგრეთის 2011 წლის CCVI აქტი სინდისისა და რელიგიის თავისუფლების და ეკლესიების, დენომინაციებისა და რელიგიური გაერთიანებების სამართლებრივი სტატუსის შესახებ“, ვენეციის კომისია, პარაგრაფი 38.

რადიკალიზაციის ხელშემწყობად. მეტიც, მათ შეუძლიათ მოშალონ ნდობა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს შორის და შექმნან ამ თემების იზოლირების საფრთხე იმ საყოველთაო-საზოგადოებრივი მცდელობებისგან, რომელთა მიზანი საზოგადო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ზოგ შემთხვევაში, ასეთმა ზომებმა შეიძლება უბიძგოს თემს, საქმიანობა ფარულად აწარმოოს, რაც უკიდურესად გაართულებს მათი საქმიანობის შესახებ სანდო ინფორმაციის მოპოვებას.

რეკომენდაციები

მონაწილე სახელმწიფოებს

1. მონაწილე სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი სამართლებრივი ან სხვა ზომების გატარებისგან, რომელიც ეფუძნება ან მიუთითებს ისეთ ცნებებზე, როგორიც არის „ექსტრემიზმი“ ან „რელიგიური ექსტრემიზმი“, ამ ტერმინების ბუნდოვანი შინაარსის, ასევე მათი ბოროტად ან დისკრიმინაციულად გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა დასდონ ბრალი მთელ თემს, როდესაც ცალკეული პირები ან მორწმუნეთა ჯგუფი ჩართულია კრიმინალურ ან უკანონო ქმედებებში, არამედ სანქციები უნდა დაუწესონ ამ კონკრეტულ პირებს.

3. მონაწილე სახელმწიფოებმა რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს უნდა შესთავაზონ სათანადო არჩევანი და პროცედურები, რომ სურვილის შემთხვევაში მიიღონ იურიდიული პირის ისეთი ტიპისა და დონის სტატუსი, რაც მათ საშუალებას მისცემს ისარგებლონ საკუთარ რელიგიასთან ან მრწამსთან დაკავშირებული საქმიანობის სრული სპექტრით. თუმცა, სახელმწიფოებმა არ უნდა გამოიყენონ იურიდიული პირის სტატუსის მიღება ცალკეული პირების ან თემების მიერ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლებით სარგებლობის წინაპირობად.

4. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის ან რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18(3) მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს.

5. რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, აღნიშნულ თემს მიაწოდონ დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებული იქნება, რა საფუძვლით ეთქვათ მათ უარი სტატუსის მიღებაზე ან რატომ გაუუქმდათ არსებული რეგისტრაცია.

6. რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, თავი შეიკავონ ისეთი გამონათქვამებისგან, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის სტიგმატიზაცია. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა გადადგან აქტიური ნაბიჯები (მაგალითად, როგორიც არის ცნობიერების ამაღლება, განათლება, რელიგიათა და სარწმუნოებათაშორისი დიალოგის წახალისება), რათა აღმოიფხვრას ნებისმიერი ეჭვი, უნდობლობა, შეუწყნარებლობა ან დისკრიმინაცია თემის მიმართ და უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობიანი თანაცხოვრება და უსაფრთხოება.

7. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემისთვის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებაზე უარი ან რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება ეფექტიანი გასაჩივრებისა და განხილვის პროცესს.

რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს

8. რეკომენდებულია, რელიგიურმა ან სარწმუნოებრივმა თემებმა შეიტანონ წვლილი საკუთარ საზოგადოებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებულ ძალისხმევაში, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ღია, კონსტრუქციულ და ნდობაზე დაფუძნებულ დიალოგში ჩართვის გზით.

სამოქალაქო საზოგადოებას

9. რეკომენდებულია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთონ ადვოკატირების ძალისხმევაში, რათა რეგისტრაციასა და იურიდიული პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან.

4.2. „ექსტრემისტული" გამოსვლა (რიტორიკა) და ლიტერატურა და უსაფრთხოება

ცალკეული მორწმუნეების ან რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ლიდერების სიტყვა (რიტორიკა), რომელიც აღქმულია „ექსტრემისტულად", შესაძლოა ჩაითვალოს უსაფრთხოების კუთხით არსებულ რისკად. სავარაუდო ზიანისგან თავის დასაცავად, რომელიც ამგვარმა რიტორიკამ შეიძლება გამოიწვიოს, ეუთოს წევრმა ზოგიერთმა სახელმწიფომ მისი სისხლის სამართლის დანაშაულად ცნობის და/ან ცენზურის გადაწყვეტილება მიიღო.

ასევე არსებობს პრეტენზიები, რომ რელიგიური ლიტერატურის ზოგიერთმა ფორმამ (როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ), მათ შორის წმინდა ტექსტებმა, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მშვიდობასა და უსაფრთხოებას სავარაუდო „ექსტრემისტული" შინაარსის გამო. არსებობს ვარაუდი, რომ ასეთი მასალა ახალისებს ძალადობას, შეიცავს ძალადობრივ გამოსახულებებს ან რიტორიკას, ან აცხადებს რელიგიურ აბსოლუტიზმს ან უპირატესობას. შედეგად, სახელმწიფოებმა შეიძლება მიიღონ ზომები, რომლებიც კრძალავს ან ცენზურას აწესებს გარკვეულ რელიგიურ მასალაზე, ან კრძალავს მათ იმპორტსა და გავრცელებას. ზოგჯერ, მთავრობები ნიშნავენ „ექსპერტებს", რომ შეაფასონ, არის თუ არა კონკრეტული რელიგიური ტექსტები დოქტრინულად მისაღები ან თუ უტოლდება „ექსტრემისტულ" მასალას.

არის თუ არა რელიგიური გამოხატვა დაცული აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით და რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით?

რელიგიური გამოხატვა დაცულია როგორც აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით, ისე რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით.

ეს ორივე თავისუფლება უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ეს უფლებები არის ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგამაძლიერებელი და „ასრულებს საკომუნიკაციო თავისუფლების დამატებითი დაცვის როლს“.[72] შინაგანი რწმენის გამოხატვის თავისუფლება ფუნდამენტურია პლურალიზმისთვის, რომელიც ახასიათებს დემოკრატიულ საზოგადოებებს, ხოლო რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების შიდა და გარე კომუნიკაცია, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

რა სახის ლეგიტიმური შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზების წინააღმდეგ?

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რელიგიის ან რწმენის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება არ იძლევა ისეთი რწმენის ადვოკატირების უფლებას, რომელიც აქეზებს სხვების მიმართ დისკრიმინაციას, შუღლს ან ძალადობას. რელიგიური სიტყვის (გამოთქმის) თავისუფლება ზოგადად დაცულია საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლით. აღნიშნული პაქტის მე-19 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლებას „თან ახლავს განსაკუთრებული მოვალეობები და პასუხისმგებლობები“. ამიტომ, სხვების უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემა, ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის ან ჯანმრთელობისა და მორალის დაცვა დასახელებულია, როგორც ამ უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლები. გამოხატვის თავისუფლებაზე ასევე ვრცელდება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-20(2) მუხლი, რომელიც მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან, აიკრძალოს ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის

72 იხილეთ: „გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესახებ“, ციტ., შენიშვნა 29, გვ. 13–14; Bielefeldt, H. Ghanea, N. & Wiener, M., რელიგიის ან რწმენის თავისუფლება – საერთაშორისო კანონის კომენტარი, გვ. 481–506.

ან ძალადობის წაქეზებას. ამრიგად, საერთაშორისო სტანდარტები არ კრძალავს სიძულვილის ყოველგვარ ადვოკატირებას. საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-20(2) მუხლი მონაწილე სახელწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, შეზღუდონ სიძულვილის ადვოკატირება, რომელიც აქეზებს დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას. გარდა ამისა, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-4(ა) მუხლით, წაქეზების მიუთითებლად, აკრძალულია „ისეთი იდეების გავრცელება, რომელიც ემყარება რასობრივ უპირატესობას ან სიძულვილს“.

„რაბათის სამოქმედო გეგმა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით სიძულვილის ადვოკატირების აკრძალვის შესახებ, რომელიც აქეზებს დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას“, არასავალდებულო ხასიათის ტექსტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფართოდ არის აღიარებული საერთაშორისო საზოგადოებაში. სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილია ექვსი ფაქტორი იმის დასადგენად, უტოლდება თუ არა გამოსვლა/რიტორიკა „დისკრიმინაციის, მტრობისა თუ ძალადობის წაქეზებას“ და არის თუ არა საკმარისად სერიოზული იმისთვის, რომ გაამართლოს შემზღუდავი სამართლებრივი ზომების დაწესება. ეს ექვსი კრიტერიუმია: კონტექსტი, სპიკერი (როგორც ცალკეული პირი, ისე ორგანიზაცია), განზრახვა, შინაარსი ან ფორმა, გამოსვლის მასშტაბი და ზიანის მიყენების ალბათობა (მათ შორის, გარდაუვალობა).[73]

---

73 „რაბათის სამოქმედო გეგმა ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის ადვოკატირების აკრძალვის შესახებ, რომელიც აქეზებს დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას“, „გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენებაში ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის წაქეზების აკრძალვის შესახებ“, გაეროს გენერალური ასამბლეა, 2013 წლის 11 იანვარი, დანართი, პუნქტი 29, <https://undocs.org/A/HRC/22/17/Add.4>. ეს ექვსნაწილიანი ტესტი მოწონებულია სხვადასხვა დამოუკიდებელი ექსპერტისა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ორგანოს მიერ, მაგ. „რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში (კოლექტიური რელიგიური სიძულვილის გამოვლინებების დაძლევა)“, გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს დოკ. A/HRC/25/58, 2013 წლის 26 დეკემბერი, პუნქტი 58 <https://undocs.org/A/HRC/25/58>; და „ზოგადი რეკომენდაცია

ვიდრე მოხდება „ექსტრემისტულად“ მიჩნეული რელიგიური გამოსვლის/რიტორიკის კრიმინალიზება, სისხლისსამართლებრივი დევნა ან სხვა სახის შემზღუდავი ზომების გატარება, მონაწილე სახელმწიფოებმა გულდასმით უნდა დაადგინონ ფაქტები. მათ უნდა შეაფასონ გამოსვლა ზემოაღნიშნული ექვსი ფაქტორის გათვალისწინებით და დაადგინონ, აქეზებს თუ არა ის დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის რეალურ ქმედებებს.[74] სამართალდამცავი უწყებების და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების ტრენინგი რაბათის სამოქმედო გეგმის ექვსნაწილიანი ტესტის არსსა და პრაქტიკაში მის გამოყენებაზე, დაეხმარებათ, განსაზღვრონ, აღწევს თუ არა კონკრეტული ქმედება სიძულვილის წაქეზების ზღვარს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-20(2) მუხლის ფარგლებში, მხოლოდ გამოსვლა (სიტყვა) იკრძალება. გარდა ამისა, რადგან სიტყვის თავისუფლებასთან მიმართებით არსებული ყველა შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს დასაშვები შეზღუდვების ზოგად წესებსა და გარანტიებს, მაშინაც კი, როდესაც პაქტის მე-20(2) მუხლი არის გამოყენებული, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაასაბუთონ ნებისმიერი შეზღუდვა 19(3) მუხლით გათვალისწინებული პირობების მკაცრი დაცვით.[75] ამასთან

35: რასისტული სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა“, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი, გაეროს დოკ. CERD/C/GC/35, 2013 წლის 12–30 აგვისტო, პარ. 15, <http://undocs.org/en/CERD/C/GC/35>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მსგავს კრიტერიუმებს იმის დასადგენად, გაკეთდა თუ არა განცხადებები დაძაბულ პოლიტიკურ თუ სოციალურ ფონზე; შეიძლება თუ არა, ასეთი განცხადებები, რომლებიც სამართლიანად არის განმარტებული და განხილული მათ უშუალო ან უფრო ფართო კონტექსტში, ჩაითვალოს როგორც პირდაპირი თუ ირიბი მოწოდება ძალადობისკენ ან როგორც ძალადობის, სიძულვილის ან შეუწყნარებლობის გამართლება; განცხადებების გაკეთების ფორმა; მათი ძალა – პირდაპირი თუ არაპირდაპირი – გამოიწვიოს დამაზიანებელი შედეგები; და სანქციების პროპორციულობა – Perinçek v. Switzerland [პერინჩეკი შვეიცარიის წინააღმდეგ] (განაცხადი No. 27510/08, დიდი პალატა, 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება), პარ. 204–208; Stomakhin v. Russia [სტომახინი რუსეთის წინააღმდეგ] (განაცხადი No. 52273/07, 2018 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება), პარაგრაფები 88–134, განსაკუთრებით პარ. 93, http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001–1827310.

74 იხილეთ Stomakhin v. Russia [სტომახინი რუსეთის წინააღმდეგ] (განაცხადი No. 52273/07, 2018 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება), პარაგრაფი 93.

75 „ზოგადი კომენტარი 34: მუხლი 19: აზრისა და გამოხატვის თავისუფლებები“, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, გაეროს დოკ. CCPR/C/GC/34, 2011 წლის

დაკავშირებით რაბათის სამოქმედო გეგმა გვთავაზობს წაქეზებაზე რეაგირების ცვალებად ზღვარს, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის ზომები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.[76]

რა ადგილი უკავია რელიგიურ ლიტერატურას?

1989 წელს ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ პატივს სცემენ მორწმუნე ადამიანებისა და გაერთიანებების უფლებას, შეიძინონ, ფლობდნენ და გამოიყენონ წმინდა წიგნები და რელიგიური პუბლიკაციები მათთვის სასურველ ენაზე, ისევე როგორც სხვა სტატიები და მასალები, რომლებიც დაკავშირებულია რელიგიის ან რწმენის აღსრულებასთან. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე აიღეს ვალდებულება, შესაძლებლობა მისცენ რელიგიურ ჯგუფებს, ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, აწარმოონ, შემოიტანონ იმპორტის გზით და გაავრცელონ რელიგიური პუბლიკაციები და მასალები.[77]

რელიგიური ლიტერატურა რელიგიური გამოხატვის ასპექტია და თანაბრად არის დაცული როგორც აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით, ისე რელიგიის ან რწმენის თავისუფლებით. ნებისმიერი ჩარევა ამგვარი ლიტერატურის შექმნაში, იმპორტსა ან გავრცელებაში შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის ამ უფლებების დარღვევად და ამიტომ უნდა იყოს მკაფიოდ დასაბუთებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო

11–29 ივლისი, პარაგრაფი 52, <https://undocs.org/en/CCPR/C/GC/34>.

76 „გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ“, პუნქტი 58, ციტატა, შენიშვნა 29. აგრეთვე: „რაბათის სამოქმედო გეგმა“, დანართი, პუნქტი 34, ციტ., შენიშვნა 74.

77 ვენის დასკვნითი დოკუმენტი 1989, პუნქტი 16.9. დამატებით, გაეროს 1981 წლის „დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ ადგენს, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მოიცავს შესაბამისი პუბლიკაციების დაწერის, გამოცემისა და გავრცელების თავისუფლებას (მუხლი 6(დ)); ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ცალკეულ პირებსა და თემებთან, რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კომუნიკაციის დამყარებისა და შენარჩუნების თავისუფლებას (მუხლი 6(i)).

პაქტის მე-18(3) და 19(3) მუხლებში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ „ეროვნული უსაფრთხოება“ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი შესაძლო საფუძველია, ის არ შედის მე-18(3) მუხლში ჩამოთვლილ შეზღუდვის საფუძვლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს „ეროვნული უსაფრთხოების“ საფუძვლით.

ორი საკითხი, რომლებიც ხშირად წამოიჭრება ხოლმე რელიგიურ ლიტერატურასთან დაკავშირებით, არის ის, რომ რელიგიური ლიტერატურა შეიძლება შეიცავდეს ძალადობრივ ნარატივებსა და გამოსახულებებს, და რომ მასში შესაძლოა გამოთქმული იყოს პრეტენზია რელიგიურ აბსოლუტიზმსა და უპირატესობაზე. კავშირი რელიგიურ ლიტერატურასა და ძალადობას შორის რთული და საკამათო საკითხია, რომელიც სცილდება ამ პუბლიკაციის ფარგლებს.[78] თუმცა, ცხადია, რომ ზიანი და ძალადობა ყოველთვის არის ადამიანის მოქმედების შედეგი. ამასთან დაკავშირებით გაეროს ყოფილმა სპეციალურმა მომხსენებელმა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებში აღნიშნა, რომ:

> „მნიშვნელოვანია, თავიდან ავიცილოთ „ესენციალისტური“ შეხედულებები, რომლებიც არასწორად მიაწერენ ძალადობას გარკვეული რელიგიების არსს ან ზოგადად რელიგიას [...] ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი ყოველთვის ადამიანები არიან და არა რელიგიები, როგორც ასეთი. სწორედ ადამიანები – ინდივიდები, ჯგუფები, თემის ლიდერები, სახელმწიფოს წარმომადგენლები, არასახელმწიფო აქტორები და სხვები – იყენებენ რელიგიას ან კონკრეტულ რელიგიურ დებულებებს ძალადობის ლეგიტიმაციის, გაჩაღების, გავრცელების ან ესკალაციის მიზნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რელიგიასა და ძალადობას შორის ურთიერთკავშირი არასოდეს შეიძლება იყოს

78 რელიგიასა და ძალადობას შორის რაიმე სავარაუდო კავშირის ანალიზისთვის იხილეთ „რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში“, გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს დოკუმენტი A/HRC/28/66, 2014 წლის 29 დეკემბერი, <https ://undocs.org/A/HRC/28/.

> მყისიერი; ის ყოველთვის გულისხმობს ადამიანის – ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების ქმედებას, რომლებიც აქტიურად ქმნიან ამ ურთიერთკავშირს, ან უპირისპირდებიან მას“.[79]

ინტერპრეტაციების შემუშავება და გაზიარება, რომლებიც ამ ძალადობრივ ნარატივებსა და გამოსახულებებს მათ ისტორიულ კონტექსტში სვამს, ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას და წაკითხულის იმგვარად გააზრებას, რომელიც ადამიანის ღირსებასა და უფლებებს ეფუძნება, ბევრად უფრო ეფექტიანი გზებია და მეტად სცემს პატივს გამოხატვის თავისუფლებას და რელიგიის ან რწმენის თავისუფლებას, ვიდრე რელიგიური ტექსტების აკრძალვა, ცენზურა ან მათი ტირაჟის შეზღუდვა.

განაცხადი ჭეშმარიტების ფლობაზე დამახასიათებელია არაერთი რელიგიური თუ არარელიგიური რწმენის სისტემისთვის. ისინი შესაძლოა გულისხმობდეს მოსაზრებას, რომ ჭეშმარიტების გასაგებად და მათი რწმენის მოთხოვნების შესაბამისად უკეთესი ცხოვრებისათვის, არსებობს მხოლოდ ერთი გზა. ამგვარმა მიდგომამ შესაძლოა წაახალისოს აღქმა, რომ ერთი რელიგია ან რწმენათა სისტემა, მათ შორის, მისი სწავლებები ეთიკური და მორალური ქცევის შესახებ, სხვაზე უპირატესია, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს კონფლიქტისა და საზოგადოებაში არასტაბილურობის წყარო. თუკი ეს მოსაზრებები არ გადაიზრდება ისეთ გამონათქვამებში, რომლებიც აქეზებს დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას სხვების მიმართ, ისინი რელიგიური/სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების გამოხატვის ნაწილია და დაცულია გამოხატვის თავისუფლებით და რელიგიის ან რწმენის თავისუფლებით.[80]

სრული ჭეშმარიტების ფლობაზე განაცხადის აკრძალვას ექნება მსუსხავი ეფექტი რელიგიის ან რწმენის საკომუნიკაციო

---

79 იქვე, პარაგრაფი 15.

80 რელიგიური უპირატესობის შესახებ შეხედულებების კრიმინალიზაციასთან დაკავშირებული მსჯელობისთვის იხილეთ: „რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში“, გაეროს გენერალური ასამბლეა, პუნქტები 66–68, გაეროს დოკუმენტი A/HRC/31/18, 2015 წლის 23 დეკემბერი, <https://undocs.org/A/HRC/31/18>.

თავისუფლებაზე. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს კანონმდებლობა, რომელიც რელიგიური ან რწმენასთან დაკავშირებული უპირატესობის შესახებ ამგვარ განაცხადს ზღუდავს ან დანაშაულად აცხადებს. საბოლოო ჯამში, რელიგიის ან რწმენის თავისუფლება, რომელიც მოიცავს ძლიერ საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო განზომილებებს, ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც შესაძლებელია რელიგიური ან რწმენასთან დაკავშირებული უპირატესობის შესახებ შეხედულებაზე კითხვების დასმა, მსჯელობა და შეფასება სხვადასხვა თვალსაზრისიდან და პოზიციიდან. ამგვარი მიდგომა ხელს შეუწყობს საერთო ენის გამონახვას როგორც ერთი და იმავე რელიგიური/სარწმუნოებრივი სისტემის მიმდევარ ადამიანებს შორის, ისე მის ფარგლებს გარეთ.

უნდა აფასებდნენ თუ არა მთავრობის დანიშნული ექსპერტები „ექსტრემისტულ“ რელიგიურ ლიტერატურას?

ეუთოს მონაწილე ზოგიერთი სახელმწიფო ნიშნავს ექსპერტებს და ეყრდნობა მათ აზრს, უნდა ჩაითვალოს თუ არა კონკრეტული რელიგიური ტექსტები „ექსტრემისტულად“. ამ ტერმინის გამოყენებასთან დაკავშირებით არსებული კრიტიკის და ექსპერტთა საზოგადოებაში კონსენსუსის არარსებობის გათვალისწინებით, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს კრიტერიუმები რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციისთვის, მთავრობის მიერ დანიშნული ექსპერტების მოსაზრებები ვერ იქნება საკმარისად მტკიცე საფუძველი წმინდა ტექსტების ან დოქტრინული ნაშრომების ცენზურისთვის ან აკრძალვისთვის. შესაბამისად, უკიდურესად პრობლემურია მთავრობის მიერ ექსპერტების დანიშვნა ამგვარი ლიტერატურის სწორი ინტერპრეტაციის მანდატით. რელიგიისა და რწმენის თავისუფლება მოიცავს რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების უფლებას, ჰქონდეთ თემის წმინდა ტექსტების ან დოქტრინალური ნაშრომების შესახებ საკუთარი განმარტებები. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რელიგიური ლიტერატურის შეფასებაზე, სიფრთხილით უნდა გაითვალისწინონ

ეს ინტერპრეტაციები და ავტომატურად არ მიანიჭონ უპირატესობა იმავე ტექსტების ექსპერტისეულ განმარტებებს.

რა შეიძლება გაკეთდეს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე ზოგადად არსებული დისკრიმინაციის, სიძულვილისა და შეუწყნარებლობის კულტურის წინააღმდეგ საბრძოლველად?

ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები აღნიშნავენ, რომ „დისკრიმინაცია და შეუწყნარებლობა იმ გარემოებებს შორისაა, რომლებსაც შეუძლია კონფლიქტების პროვოცირება, რაც ძირს უთხრის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას“.[81] წევრი სახელმწიფოები მრავალი წელია ეხმიანებიან ეფექტიანი ღონისძიებების გატარების საჭიროებას რელიგიისა და რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის აღმოსაფხვრელად.[82]

ღონისძიებები, რომლებსაც შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის, სიძულვილისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოიცავს ცნობიერების ამაღლებასა და საგანმანათლებლო საქმიანობას, ინტერსარწმუნოებრივ და ინტერრელიგიურ დიალოგსა და თანამშრომლობას და მედიის ძალისხმევას. ეს ღონისძიებები, რომლებიც უპირისპირდება შეუწყნარებლობის ძირეულ მიზეზებს და ხელს უწყობს ნდობისა და ურთიერთთანხმობის ჩამოყალიბებას

---

81 „ეუთოს სტრატეგია ოცდამეერთე საუკუნეში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საფრთხეების აღმოსაფხვრელად“, ეუთო, მაასტრიხტი 2003, პუნქტი 36.

82 იხილეთ ეუთოს შესაბამისი დოკუმენტები და შეთანხმებები: კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990, პარიზის ქარტია 1990. „ჰელსინკის დოკუმენტი: ცვლილების გამოწვევები 1992“, ეუთო, „ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის (CSCE) მინისტრთა საბჭოს მეოთხე შეხვედრის დოკუმენტი, რომი 1993“, ეუთო, ბუდაპეშტის დოკუმენტი 1994, სტამბოლის დოკუმენტი 1999, „მინისტრთა საბჭოს მეცხრე შეხვედრის დოკუმენტი, ბუქარესტი 2001“, ეუთო, „მინისტრთა საბჭოს მეათე შეხვედრის დოკუმენტი, პორტო 2002“, ეუთო, (შემდგომში „პორტოს დოკუმენტი 2002“), მაასტრიხტის დოკუმენტი 2003, სოფიის დოკუმენტი 2004, ლუბლიანის დოკუმენტი 2005, ბრიუსელის დოკუმენტი 2006, მადრიდის დოკუმენტი 2007, ჰელსინკის დოკუმენტი 2008, ათენის დოკუმენტი 2009, ციტ., შენიშვნა 16, კიევის დოკუმენტი 2013, op. ციტ., შენიშვნა 8.

სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის მქონე ადამიანებსა და თემებს შორის, ეუთოს რეგიონში კვლავაც არასაკმარისად ტარდება, მიუხედავად ამ სფეროში არსებული მრავალი ვალდებულებისა.[83]

ცნობიერების ამაღლების პროგრამებს შეუძლია ხელი შეუწყოს ფართო საზოგადოების ინფორმირებას რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემებისა და მათი უფლებების შესახებ. სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის მიმართ მეტი მიმღებლობისა და პატივისცემის წახალისებით, ამ პროგრამებს შეუძლია შეამციროს მიკერძოებული შეხედულებებისა და ნეგატიური სტერეოტიპების არეალი, რაც უბიძგებს საზოგადოებაში დისკრიმინაციის, მტრობისა და შეუწყნარებლობის გაძლიერებას. ყველას – ხელისუფლების წარმომადგენლებს, მედიას, კულტურული მემკვიდრეობის დაწესებულებებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ინტერრელიგიურ და ინტერსარწმუნოებრივ პლატფორმებს, განათლების სფეროს მოღვაწეებს და თავად რელიგიურ თუ სარწმუნოებრივ თემებს, შეუძლიათ ღირებული წვლილის შეტანა ამ მიმართულებით.

განათლება, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების კუთხით, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში.[84] ეს არის უწყვეტი პროცესი, რომელიც არ

---

83 მსგავსი პოზიტიური ზომები იყო შემოთავაზებული რაბათის სამოქმედო გეგმაში, დანართი, პუნქტები 23–29, ციტ., შენიშვნა 74.

84 იხილეთ ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და UNESCO-ს ერთობლივი გამოცემა „ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა განათლების მეშვეობით: სახელმძღვანელო პოლიტიკის შემქმნელებისთვის“ (ვარშავა: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, 2018), რომელიც გვთავაზობს განათლების საშუალებით ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ცრურწმენების დაძლევისა და ტოლერანტობის ხელშეწყობის კონკრეტულ გზებს, რაც მოიცავს ადამიანის უფლებათა ჩარჩოზე, გლობალური მოქალაქეობის განათლებაზე, ინკლუზიურობასა და გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავებას, <https://www.osce.org/odihr/383089>. აგრეთვე იხილეთ ეუთო/დემოკრატიურლი ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის „სახელმძღვანელო განათლების მუშაკებისთვის მუსლიმთა მიმართ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: ისლამოფობიასთან დაპირისპირება განათლების მეშვეობით“ (ვარშავა: ODIHR, 2011), <https://www.osce.org/odihr/84495>.

შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური სასკოლო განათლებით. იმისათვის, რომ ვისწავლოთ მშვიდობიანი თანაცხოვრება, საჭიროა საგანმანათლებლო პროცესები, რომლებიც ხელს შეუწყობს მრავალფეროვნების დაფასებას და პატივისცემას, თითოეული ადამიანის ღირსებისა და უფლებების, მათ შორის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემაზე დაფუძნებულ შემწყნარებლობას და ურთიერთთანხმობას. სკოლებმა უნდა გადასცენ ცოდნა, ინფორმაცია და უნარები, მათ შორის, კრიტიკული აზროვნების უნარები, რომლებიც საჭიროა ევროპის რეგიონში მზარდ რელიგიურ, სარწმუნოებრივ და კულტურულ მრავალფეროვნებასთან თანაარსებობისთვის.[85]

ქალები და გოგონები არაპროპორციულად ხდებიან შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი განცხადებების, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების სამიზნე კონკრეტული რელიგიური ტრადიციისადმი კუთვნილების გამო, რაც ხშირად შესამჩნევია მათი რელიგიური ჩაცმულობით ან სიმბოლოებით. ეს ქალები განიცდიან ორმაგ დისკრიმინაციას, როგორც სქესის, ისე რელიგიის საფუძველზე. განათლებამ ასევე უნდა შეუწყოს ხელი ზოგადად ქალებისა და გოგონების არჩევანის უფრო სენსიტიურ აღქმას ისეთ საკითხებში, თუ როგორ აღასრულებენ ისინი თავიანთ რელიგიურ მრწამსს.

ევროპის მონაწილე სახელმწიფოებმა აღიარეს ღია და გამჭვირვალე ინტერსარწმუნოებრივი და ინტერრელიგიური დიალოგის აუცილებლობა; ისევე როგორც თანამშრომლობის მნიშვნელობა სხვადასხვა რელიგიის/მრწამსის მქონე პირებსა და თემებს შორის ურთიერთთანხმობის ხელშესაწყობად.[86] ეს მიდგომა ხელს

---

85 იხილეთ „სასკოლო განათლების საერთაშორისო საკონსულტაციო კონფერენციის დასკვნითი დოკუმენტი რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასთან, ტოლერანტობასა და დისკრიმინაციის დაძლევასთან დაკავშირებით“, გაეროს დოკ. E/CN.4/2002/73, დანართი, <https://undocs.org/E/CN.4/2002/73>.

86 გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ასევე განაცხადა, რომ „იდეების ღია საჯარო დებატები, ისევე როგორც ინტერრელიგიური და ინტერკულტურული დიალოგი ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, შეიძლება იყოს ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა რელიგიური შეუწყნარებლობისგან“. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია 16/18, UN Doc, A/HRC/RES/16/18, 2011 წლის 24 მარტი, პუნქტი 4, https://undocs.org/A/HRC/RES/16/18

უწყობს რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მეტ უსაფრთხოებას.[87]

რელიგიურ/სარწმუნოებრივ საზღვრებში არსებული კომუნიკაციისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ყველა ფორმა, მათ შორის, ინტერსარწმუნოებრივი და ინტერრელიგიური დიალოგი, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების ნაწილია. ეს არის ადამიანის საყოველთაო უფლება და, შესაბამისად, რელიგიათა და სარწმუნოებათაშორისი დიალოგიც მოითხოვს ინკლუზიურ მიდგომას, რომელშიც წარმოდგენილია საზოგადოებაში არსებული რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების სრული მრავალფეროვნება, ახლად შექმნილი და მცირერიცხოვანი ჯგუფების ჩათვლით.

ევროპის მონაწილე სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, „ხელი შეუწყონ ღია და გამჭვირვალე ინტერსარწმუნოებრივ და ინტერრელიგიურ დიალოგსა და თანამშრომლობას“.[88] მნიშვნელოვანია, რომ დიალოგის ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც ხელშეწყობილია სახელმწიფოების მიერ, იყოს არადისკრიმინაციული და ზედმიწევნით სცემდეს პატივს რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ავტონომიურობას და ნებაყოფლობით მონაწილეობას. რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს ასევე აქვთ თავისუფალი არჩევანი, თავად, საკუთარი სურვილით, შექმნან რელიგიათაშორისი და სარწმუნოებათაშორისი დიალოგის ფორმატები, სახელმწიფოს თანხმობის ან ნებართვის გარეშე. მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლიც, რომლებსაც შეუძლიათ წაახალისონ და ხელი

87 მითითება ინტერრელიგიურ და ინტერსარწმუნოებრივ დიალოგზე გვხვდება ევროპის რიგ ვალდებულებებში, მათ შორისაა პორტოს დოკუმენტი 2002, მაასტრიხტის დოკუმენტი 2003, სოფიის დოკუმენტი 2004, ლუბლიანის დოკუმენტი 2005, ჰელსინკის დოკუმენტი 2008, კიევის 2013 წლის დოკუმენტი, „მინისტრთა საბჭოს ოცდამეერთე შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი, ბაზელი 2014“.

88 ევროპა, მინისტრთა საბჭო, გადაწყვეტილება No. 3/13, ციტატა, შენიშვნა 8, და ევროპის მინისტრთა საბჭო, დეკლარაცია No. 8/14, „ანტისემიტიზმთან ბრძოლის ძალისხმევის გაძლიერება“, ბაზელი 2014, მოწოდება წევრი სახელმწიფოებისადმი, inter alia, „კულტურათა, სარწმუნოებათა და რელიგიათაშორისი დიალოგის და პარტნიორობის ხელშეწყობის შესახებ“.

შეუწყონ რელიგიათა და სარწმუნოებათაშორის დიალოგსა და თანამშრომლობას.

არ არსებობს ინტერსარწმუნოებრივი და ინტერრელიგიური დიალოგისადმი ერთიანი, უნივერსალური მიდგომა. ის შეიძლება შედგეს ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. არსებობს ევროპის რეგიონში მოქმედი რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ლიდერების მონაწილეობით წარმატებული ფორმალური დიალოგის არაერთი მაგალითი. თუმცა, ჯერ კიდევ არასაკმარისად არის დაფასებული სათემო/საზოგადოებრივ დონეზე არაფორმალური ღონისძიებების როლი ურთიერთთანხმობის, სოციალური ერთობისა და უსაფრთხოების განვითარებაში. ფორმალური და არაფორმალური დიალოგის აქტივობები უნდა განიხილებოდეს, როგორც ურთიერთშემავსებელი და ორივე ფორმატი უნდა იყოს გათვალისწინებული სათანადო სტრატეგიების შემუშავების პროცესში. ასევე, აუცილებელია მუდმივი ძალისხმევა ყველა ინტერსარწმუნოებრივ და ინტერრელიგიურ აქტივობაში ქალების სრული და თანაბარი, და ახალგაზრდების არსებითი და მიზნობრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რადგან ისინი, როგორც წესი, ნაკლებად არიან წარმოდგენილნი მსგავს ღონისძიებებში და, შესაბამისად, მათი ხმაც ნაკლებად ისმის.[89]

მედია, როგორც საჯარო, ისე კერძო, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური ან სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების შესახებ საზოგადოების განწყობების ჩამოყალიბებაში. მედიას აქვს საჯარო ვალდებულება, უზრუნველყოს ინფორმაციის სიზუსტე და რელიგიური და სარწმუნოებრივი ჯგუფების სამართლიანი წარმომადგენლობა, ისე, რომ თან დაცული იყოს მედიის დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ყველა რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის შესახებ დადებითი გზავნილების გაზიარებით და უარყოფითი და დისკრიმინაციული სტერეოტიპების თავიდან

89 მაგალითად, 2007 წელს მადრიდში მონაწილე სახელმწიფოებმა ცალსახად აღიარეს „ახალგაზრდების მნიშვნელოვანი როლი კულტურებსა და რელიგიებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობის ძალისხმევაში“.

აცილების გზით, მედიას შეუძლია წვლილი შეიტანოს უფრო ტოლერანტულ საზოგადოებრივ დისკურსში, რომელიც ეფუძნება ცალკეული ადამიანებისა და თემების რეალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებებს და, ამავდროულად, ასახავს არსებულ გამოწვევებს. მედია მართლაც არის ის მნიშვნელოვანი მხარე, რომელსაც შეუძლია განავითაროს კრიტიკული საჯარო დისკურსი სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის ხალხებს შორის თანაარსებობის შესახებ.

მედიის მნიშვნელოვანი როლი აღიარებულია ეუთოს რიგ ვალდებულებებში,[90] რომლებმაც ასევე წაახალისა „ჟურნალისტების, მედიის თვითრეგულირებისა და სხვა შესაბამისი მექანიზმებისთვის ნებაყოფლობითი პროფესიული სტანდარტების შემუშავება, ჟურნალისტებში უფრო მეტი პროფესიონალიზმის, სიზუსტისა და ეთიკური სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად“.[91] ბოლო წლებში ციფრული სივრცე იქცა შეუწყნარებლობის გამოხატვის ფორუმად და რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზების პლატფორმად. ამ ფენომენის წინააღმდეგ საბრძოლველად, დაუყოვნებლივ არის საჭირო საგანმანათლებლო ზომების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს

---

90 იხილეთ ეუთოს სხვადასხვა დოკუმენტი: სტამბოლის დოკუმენტი 1999, პორტოს დოკუმენტი 2002, ლუბლიანის დოკუმენტი 2005, სოფიის დოკუმენტი 2004, ბრიუსელის დოკუმენტი 2006 და მადრიდის დოკუმენტი 2007.

91 ბრიუსელის დოკუმენტი 2006, პუნქტი 9, და მადრიდის დოკუმენტი 2007, პუნქტი 4. ამ კუთხით, უნდა აღინიშნოს გამოხატვის თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ კამდენის პრინციპების მნიშვნელობა და აქტუალობა. კამდენის პრინციპები მხარს უჭერს გამოხატვის თავისუფლების, მათ შორის, მედიის თავისუფლების, გამოყენებას საზოგადოებაში თანასწორობის ხელშეწყობასა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მე-6 პრინციპის თანახმად: „მასმედიის ყველა საშუალებამ, თავისი მორალური და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები: (i) უზრუნველყონ მრავალფეროვნება და საზოგადოების წარმომადგენლობითობა თანამშრომელთა შორის; (ii) რამდენადაც შესაძლებელია, გააშუქონ საკითხები, რომლებიც საზოგადოების ყველა ჯგუფის საერთო საზრუნავია; (iii) საზოგადოების ერთგვაროვან გაერთიანებად წარმოჩენის ნაცვლად, მოიძიონ მრავალფეროვანი წყაროები და ხმები სხვადასხვა თემიდან; (iv) დაიცვან ინფორმაციის მიწოდების მაღალი სტანდარტები, რომლებიც აკმაყოფილებს აღიარებულ პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს“. იხ: „კამდენის პრინციპები გამოხატვის თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ“, ორგანიზაცია „მე-19 მუხლი“, <www.article19.org/data/files/pdfs/standards/the-camden-principles-on-freedom-of-expression-and-equality.pdf>.

ტოლერანტობას, ურთიერთთანხმობის და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას სოციალური მედიის პლატფორმებზე.

რეკომენდაციები

მონაწილე სახელმწიფოებს

1. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ისეთი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების და მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ამ პროგრამების შემუშავება შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებთან, კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუტებთან, მედიასთან, განათლების სფეროს წარმომადგენლებსა და რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებთან თანამშრომლობით.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა საფეხურის სასკოლო სასწავლო პროგრამა მოიცავდეს მიუკერძოებელ და ზუსტ ინფორმაციას რელიგიური და სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების შესახებ, რაც მოსწავლეებს ასწავლის ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის მნიშვნელობას. საგანმანათლებლო პროცესმა ასევე უნდა შექმნას სხვადასხვა რელიგიის/მრწამსის მქონე სტუდენტებს შორის ინტერაქციის შესაძლებლობა, რომ საკუთარი გამოცდილებით, ბუნებრივი და შინაარსიანი ურთიერთობით, გაიგონ განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების მნიშვნელობა.

3. მონაწილე სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ინტერსარწმუნოებრივი და ინტერრელიგიური დიალოგისა და თანამშრომლობის ინიციატივებს საზოგადოების ყველა დონეზე, რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ავტონომიურობის და აღნიშნულ ძალისხმევაში მათი ნებაყოფლობითი მონაწილეობის პატივისცემით. სახელმწიფოებმა უნდა

უზრუნველყონ, რომ ამ ძალისხმევაში გათვალისწინებული იქნება რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების არსებული და მზარდი მრავალფეროვნება და ასევე ყველა ღონეს გამოიყენებენ იმისთვის, რომ უზრუნველყონ კაცებისა და ქალების თანაბარი მონაწილეობა, ისევე როგორც ახალგაზრდების არსებითი და მიზნობრივი ჩართულობა.

4. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ და ხელი შეუწყონ არაფორმალური დიალოგის ინიციატივებს სათემო/საზოგადოებრივ დონეზე, რადგან მათ აქვთ პოტენციალი, არსებითი წვლილი შეიტანოს საზოგადოებაში ურთიერთთანხმობისა და ტოლერანტობის ხელშეწყობის ძალისხმევაში.

5. რელიგიის ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზების პრევენციული ზომების განხილვისას, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან აზრისა და გამოხატვის თავისუფლებასთან, აგრეთვე რელიგიის ან რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული, საერთაშორისო სამართლით უზრუნველყოფილი ვალდებულებები. კერძოდ, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18(3) და მე-19(3) მუხლებით განსაზღვრული ზოგადი წესები და გარანტიები დასაშვებ შეზღუდვებთან დაკავშირებით და ამავე პაქტის 20(2) მუხლის მოთხოვნა, რომელიც კრძალავს ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართულ გამოსვლას, რაც დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას წარმოადგენს.

6. რეკომენდებულია, მონაწილე სახელმწიფოებმა უზრუნველყონ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების წარმომადგენლების ტრენინგი რაბათის სამოქმედო გეგმაში აღწერილი ექვსნაწილიანი ტესტის არსისა და მისი გამოყენების შესახებ (კონტექსტი; გამომსვლელი; განზრახვა; შინაარსი ან ფორმა; გამოსვლის მაშტაბი; და ასევე ზიანის ალბათობა, მათ შორის, გარდაუვალობა). ეს ტრენინგი მათ დაეხმარებათ იმის

დადგენაში, აღწევს თუ არა კონკრეტული ქმედება სიძულვილის წაქეზების ზღვარს.

7. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააუქმონ ნებისმიერი კანონი, რომელიც სანქციებს აწესებს რელიგიური ან სარწმუნოებრივი უპირატესობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების წინააღმდეგ, რადგან ეს ქმედება არ წარმოადგენს „ექსტრემიზმს“.

8. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეწყვიტონ მხოლოდ მათ მიერ დანიშნული ექსპერტების ინტერპრეტაციასა და შეფასებებზე დაყრდნობის პრაქტიკა, როდესაც რელიგიური და სარწმუნოებრივი გაერთიანებების წმინდა ტექსტებს „ექსტრემიზმის“ კუთხით აფასებენ.

9. მონაწილე სახელმწიფოები პროაქტიულად და სისტემატურად უნდა შეუერთდნენ მათ იურისდიქციაში შემავალი ყველა რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის ძალისხმევას ყველა ადამიანისთვის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რა დროსაც პატივი უნდა სცენ ამ თემების განსხვავებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას, მათ ავტონომიურობასა და ჩართულობის ნებაყოფლობითობას. სხვადასხვა რელიგიურ და სარწმუნოებრივ თემთან ნდობის მოსაპოვებლად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან კომუნიკაციის მუდმივი არხები და/ან საკოორდინაციო ცენტრები ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.

რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს

10. რეკომენდებულია, რელიგიური და სარწმუნოებრივი თემები ჩაერთონ ინტერსარწმუნოებრივ და ინტერრელიგიურ დიალოგსა და თანამშრომლობაში.

11. რეკომენდებულია, რელიგიურმა და სარწმუნოებრივმა თემებმა ხელი შეუწყონ ქალების მეტ ჩართულობას,

ინტერსარწმუნოებრივი და ინტერრელიგიური დიალოგის აქტივობებში მათი თანაბარი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

12. რეკომენდებულია, რელიგიურმა და სარწმუნოებრივმა თემებმა ხელი შეუწყონ ახალგაზრდების მეტ ჩართულობას, რათა უზრუნველყონ ინტერსარწმუნოებრივი და ინტერრელიგიური დიალოგის აქტივობებში მათი არსებითი და მიზნობრივი მონაწილეობა.

13. რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის ლიდერებმა მკაცრად და მყისიერად უნდა დაგმონ სიძულვილის ადვოკატირება, რაც უტოლდება დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებას და გამიჯნონ თავიანთი თემები იმ თანამორწმუნეებისგან, ვინც ამგვარი სიძულვილის ადვოკატირებას ეწევა.

14. რეკომენდებულია, რომ რელიგიურმა და სარწმუნოებრივმა თემებმა პროაქტიულად და სისტემატურად ითანამშრომლონ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ყველა ადამიანისთვის რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო საზოგადოებას

15. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა წვლილი შეიტანონ ცნობიერების ამაღლების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, რაც მიზნად ისახავს ფართო საზოგადოების ინფორმირებას რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების და მათი უფლებების შესახებ.

16. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა გამოიყენონ სოციალური მედია საზოგადოებაში რელიგიური ტოლერანტობისა და ურთიერთთანხმობის კულტურის გაძლიერების ხელშესაწყობად; ასევე დაუპირისპირდნენ სოციალური მედიის გამოყენებას რელიგიის

ან რწმენის საფუძველზე დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობისკენ მოწოდების პლატფორმად.

17. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მუდმივად შეუერთდნენ სახელმწიფოს წარმომადგენლების, რელიგიური და სარწმუნოებრივი თემებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ძალისხმევას, რომელიც მიმართულია ყველა ადამიანის რელიგიის ან რწმენის თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვისკენ.

18. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირონ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ლიდერებს მათ ძალისხმევაში, დაგმონ სიძულვილის ადვოკატირება, რომელიც ახალისებს დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას.

19. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირონ და ხელი შეუწყონ ინტერსარწმუნოებრივ და ინტერრელიგიურ დიალოგს და თანამშრომლობას, რომელიც ებრძვის შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციას რელიგიის ან რწმენის საფუძველზე, ხელს უწყობს ურთიერთთანხმობასა და ურთიერთპატივისცემას სხვადასხვა რელიგიის ან რწმენის მქონე პირებსა და თემებს შორის და აძლიერებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ყველასთვის.

20. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ითანამშრომლონ მედიასა და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის ადამიანების თანაცხოვრების შესახებ კრიტიკული საჯარო დისკურსის კულტურის ჩამოსაყალიბებლად.

21. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დაუპირისპირდნენ სიძულვილის ადვოკატირებას, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის

წაქეზებას და საჯაროდ დაუჭირონ მხარი ამგვარი სიძულვილის მსხვერპლებს.

მედიას

22. რეკომენდებულია, რომ როგორც საჯარო, ისე კერძო მედიამ, ყველა ღონე იხმარონ იმისათვის, რომ გაიზარდოს რელიგიური და სარწმუნოებრივი მრავალფეროვნების პატივისცემა. ამისთვის სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის შესახებ უნდა გააშუქონ მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაცია და დაუპირისპირდნენ ნეგატიური სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გავრცელებას.

23. რეკომენდებულია, მედიამ შეიმუშაოს ნებაყოფლობითი სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები, როგორიცაა, მაგალითად, მათ საზოგადოებებში რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაციის გაშუქებაზე ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი. მედიამ უნდა უზრუნველყოს, რომ ამგვარი ინფორმაციის გაშუქება ეყრდნობოდეს სხვადასხვა სანდო წყაროს და ასახავდეს განსხვავებულ შეხედულებებს. სასურველია, რომ მედიასაშუალებებმა ფართოდ გაავრცელონ ამგვარი სახელმძღვანელო პრინციპები და უზრუნველყონ თავიანთი თანამშრომლებისთვის სათანადო ტრენინგი.

4.3. სკრინინგი, მონიტორინგი და ჩხრეკა ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილებში და უსაფრთხოება

რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ღვთისმსახურების და შეკრების ადგილები ზოგჯერ მიჩნეულია ტერორიზმის გამომწვევი რადიკალიზაციის და ძალადობის მომხრე ჯგუფებში ახალი წევრების გადაბირების ხელშემწყობ გარემოდ. მონაწილე სახელმწიფოებმა შესაძლოა უსაფრთხოების კონტექსტში საფრთხეებად მოაზრებულ საკითხებს სხვადასხვა გზით უპასუხონ, მათ შორის, ღვთისმსახურების ადგილებში მიმსვლელ-მომსვლელთა სკრინინგით, დაკითხვითა და მონიტორინგით. რეაგირების დამატებითი ზომები ხშირად მოიცავს ჩხრეკის ორდერს, რაც ხელისუფლების წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, ჩაატარონ ჩხრეკა უკანონო საქმიანობის მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ზოგ შემთხვევაში კი ჩაატარონ საპოლიციო ჩხრეკა. ზოგჯერ ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებას, დახუროს ღვთისმსახურების ადგილი უსაფრთხოების ინტერესებით.

რა მნიშვნელობა აქვს ღვთისმსახურების და შეკრების ადგილებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების თვალსაზრისით?

თვითმმართველობა, მათ შორის, რელიგიური ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილის მართვა და რეგულირება, რელიგიის ან რწმენის თავისუფლების ნაწილი და რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ავტონომიურობის მნიშვნელოვანი ასპექტია.

რელიგიის ან რწმენის თავისუფლება მოიცავს მნიშვნელოვან ინსტიტუციურ განზომილებას, რომელიც ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილებს, ასევე ამ ადგილებზე პასუხისმგებელ პერსონალს, ანიჭებს განსაკუთრებულ პოზიციას და როლს რელიგიური და სარწმუნოებრივი თემის ცხოვრებაში.

სალოცავი და შეკრების ადგილები ამ თემებში განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს. როგორც წესი, ისინი მორწმუნეთა თემის შეკრებისა და მნიშვნელოვანი სარწმუნოებრივი ცერემონიების ჩატარების ადგილებია. ეს სივრცეები შეიძლება გამოყენებული იყოს ასევე ინდივიდუალური და კოლექტიური ლოცვისა და ღვთისმსახურებისთვის, რეფლექსიისა და მედიტაციისთვის, ისევე როგორც რიგი საგანმანათლებლო, სოციალური, კულტურული, საქველმოქმედო და ჰუმანიტარული საქმიანობისთვის. ამის გათვალისწინებით, წინდახედულობაა საჭირო ნებისმიერი ქმედების განხორციელებამდე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებსა და რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის პერსონალზე, რომლებიც იქ საქმიანობენ.

ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს კაცებისა და ქალების მიერ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლებით სარგებლობის განსხვავებულ ფორმებს ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილებში. მაგალითად, ზოგიერთ რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემში კაცები და ქალები საერთო სივრცეში ერთად იკრიბებიან და ლოცულობენ. ზოგან, კაცები და ქალები სხვადასხვა, გენდერული ნიშნით გაყოფილ ადგილში ასრულებენ რელიგიურ ღვთისმსახურებას და ლოცვას.

რამდენად მიზანშეწონილია, ცალკეული პირების მიერ ჩადენილი გადაცდომის გამო შეიზღუდოს წვდომა ან დაიხუროს ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილები?

ცალკეული პირების სავარაუდო არასათანადო ქცევა არ უნდა მიეწეროს მთელ რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემს. „ცალკეული წევრების მიერ ჩადენილი არასწორი ქმედების გამო არ უნდა შეიზღუდოს ან შეწყდეს რელიგიური თემის საქმიანობა. ეს იქნება კოლექტიური სანქციის დაწესება მთელ თემზე მაშინ, როდესაც სამართლიანობიდან გამომდინარე აღნიშნული ქმედებისთვის პასუხისმგებლობა კონკრეტულ პირებს უნდა დაეკისროთ“.[92]

92 სახელმძღვანელო პრინციპები რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების იურიდიული პირის სტატუსის შესახებ, პუნქტი 34, ციტ.; შენიშვნა 20.

ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან მისი დახურვა ვერ ჩაითვლება გამართლებულ, აუცილებელ ან პროპორციულ რეაგირებად ინდივიდუალურ გადაცდომაზე, რადგან ამგვარი ზომები ცალკეული პირების ან პირთა მცირე ჯგუფის მიერ ჩადენილი ქმედებების გამო სანქციებს უწესებს მთელ თემს. მსგავსი ღონისძიებები შესაძლოა კონტრპროდუქტიული იყოს უსაფრთხოების თვალსაზრისითაც, რადგან სახელმწიფოს ქმედებებით გაჩენილმა გარიყულობისა და წყენის განცდამ პოტენციურად საპირისპირო შედეგი შეიძლება მოიტანოს.

ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილების დახურვამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს თემის სიცოცხლისუნარიანობას და ქმედუნარიანობას, მათ შორის, ზოგადად თემის წვლილს ფართო საზოგადოებაში. ამიტომ, ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილების დახურვასთან დაკავშირებული პროცედურები ზედმიწევნით უნდა იცავდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილ რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლების შეზღუდვის მკაცრ კრიტერიუმებს.

რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების მიერ თავიანთი სალოცავი და შეკრების ადგილების მართვა ხელისუფლების მხრიდან მოითხოვს ნდობას, რომ შესაბამისი უფლებამოსილებები თემის მიერ კანონის ფარგლებში იქნება გამოყენებული. ამ სივრცეებში განხორციელებული საქმიანობების ფრთხილი მონიტორინგი მოცემული რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების პასუხისმგებლობაა. მათ უნდა უზრუნველყონ, რომ არ შეინიშნება შეუწყნარებლობის, შუღლის ან ძალადობის ნიშნები და ამგვარად დაიცვან თემი და ფართო საზოგადოება ზიანისგან. ეს ძალისხმევა მოიცავს თემების მხრიდან სათანადო ყურადღებას სიძულვილის ადვოკატირების მიმართ, რაც უტოლდება დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის და ასევე სხვა ისეთი ქმედების წაქეზებას, რომელიც

სახელმძღვანელო პრინციპები გაერთიანების თავისუფლების შესახებ, პუნქტი 236, ციტ., შენიშვნა 30. აგრეთვე, იხილეთ სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა დამცველთა დაცვის შესახებ, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ვარშავა: დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი 2014), პარაგრაფი 209, https://www.osce.org/odihr/guidelines-on-the-protection-of-human-rights-defenders

რეალურ საფრთხეს უქმნის ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილას დამსწრე ნებისმიერი პირის უსაფრთხოებას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, რომ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ლიდერებმა მკაცრად და დროულად გამოთქვან თავიანთი პოზიცია სიძულვილის ადვოკატირების წინააღმდეგ, რაც უტოლდება დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებას და გამიჯნონ საკუთარი თემი იმ თანამორწმუნეებისგან, რომლებიც ამგვარ შეხედულებებს ავრცელებენ.[93]

რა ფორმით შეიძლება ტარდებოდეს სკრინინგი და მონიტორინგი? არის თუ არა ეს რელიგიის ან რწმენის თავისუფლების დარღვევა?

სკრინინგი შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. ის მოიცავს იმ პირების შემოწმებას, რომლებიც შედიან ან გამოდიან ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებიდან, ასევე პირადი ინტერვიუს ჩატარებას, საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მოთხოვნას, სხეულის ჩხრეკას და მეტალის დეტექტორების დამონტაჟებასა და გამოყენებას.

ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებში შემსვლელი და გამომსვლელი პირების მონიტორინგი მოიცავს ვიდეომეთვალყურეობის კამერების სისტემების გამოყენებას, ასევე აუდიომოსასმენ და სხვა ელექტრონულ საშუალებებს. მონიტორინგი შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი, ღია ან ფარული, შეიძლება შემოიფარგლოს სალოცავი ან შეკრების ადგილებით ან ასევე მოიცავდეს იმ რელიგიური პერსონალის სახლების მონიტორინგს, ვინც ასრულებს გარკვეულ მოვალეობებს აღნიშნულ ღვთისმსახურების ადგილებში.

სკრინინგმა და მონიტორინგმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაზე, ხოლო ღვთისმსახურების ადგილის კონტექსტში, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე. შესაბამისად, ამგვარი ზომები

93 ბეირუთის დეკლარაცია და მისი 18 პრინციპი „რწმენა უფლებებისთვის“, პრინციპი VII, www.ohchr.org/Documents/Press/Faith4Rights.pdf

მკაცრად უნდა იყოს გამართლებული კანონით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ პროცედურებთან მიმართებით, როგორიც არის ფარული თვალთვალი. ნებისმიერი მიღებული ზომა სრულად უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპებს და ეროვნულ კანონმდებლობას.

ამ კუთხით მთავარი ტესტი არის პროპორციულობა. ნებისმიერი საგამოძიებო ტექნიკა, როგორიც არის მაგალითად ფარული თვალთვალი, აუცილებლად უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ჩადენილია, მომზადებულია ან მომზადების პროცესშია მძიმე დანაშაული ერთი ან მეტი პირის მიერ ან ჯერჯერობით დაუდგენელი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ.[94] გარდა ამისა, ასეთი ზომების გატარებისას უნდა არსებობდეს ადეკვატური და ეფექტიანი გარანტიები, რომ ეს ზომები არ იქნება ბოროტად გამოყენებული. კერძოდ, ფარული მეთვალყურეობა მოითხოვს დამოუკიდებელ ზედამხედველობას და სასურველია, რომ იგი განხორციელდეს მოსამართლის მიერ.

რელიგიის ან რწმენის თავისუფლების თვალსაზრისით, თუ აღნიშნული ზომები არ იქნა გამოყენებული სათანადო სიფრთხილითა და მგრძნობელობით, მათ თავისუფლად შეიძლება ხელი შეუშალონ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების წევრების მიერ სალოცავ და შეკრების ადგილებში დასწრებას. თემის წევრებს შეიძლება არ სურდეთ სკრინინგის ისეთი ფორმების გავლა, როგორიც არის, მაგალითად, სხეულის ჩხრეკა, და ასევე შფოთვისა და შიშის გამო, საერთოდ თავი მოარიდონ ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილას მისვლას. ამან კი შეიძლება გაუმართლებლად შეზღუდოს მათი რელიგიის ან რწმენის თავისუფლება, რაც მოიცავს პირთა

---

94 სრული განხილვისთვის იხილეთ: ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ადამიანის უფლებების დაცვა: სახელმძღვანელო, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (ვარშავა: ODIHR, 2008), განსაკუთრებით გვ. 201–205, <https://www.osce.org/odihr/29103>; და ადამიანის უფლებები კონტრტერორისტულ გამოძიებებში: პრაქტიკული სახელმძღვანელო სამართალდამცავი ოფიცრებისთვის, ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (ვარშავა: ODIHR, 2013), გვ. 34, <http://www.osce.org/odihr/108930>.

უფლებას თავისუფლად შევიდნენ ან გამოვიდნენ რელიგიური დანიშნულების შენობებში.

იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენას ახდენს სკრინინგისა და მონიტორინგის ზომების გატარება რელიგიის ან რწმენის თავისუფლების უფლებით სარგებლობაზე, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, ზედმიწევნით შეასრულონ ის პირობები, რომელიც კანონით არის გაწერილი აღნიშნული უფლების შეზღუდვის შემთხვევებისთვის და ყოველ ჯერზე დაასაბუთონ, რომ გამოყენებული ზომები ნამდვილად აუცილებელი და პროპორციულია სავარაუდო უსაფრთხოების რისკებთან. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სკრინინგსა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი ხელისუფლების წარმომადგენლების სათანადო ტრენინგი, როგორც რელიგიური წიგნიერების, ასევე რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კუთხით, რათა მათ ჰქონდეთ შესაბამისი უნარ-ჩვევები და სათანადო მგრძნობელობით მოექცნენ რელიგიური ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებში მყოფ პირებს. სკრინინგისა და მონიტორინგის ზომების გატარებამდე, სახელმწიფო მოხელეებმა უნდა გამართონ დიალოგი მოცემულ რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებთან და[95], რამდენადაც ეს შესაძლებელია, სკრინინგი და მონიტორინგი უნდა განხორციელდეს თავად თემის ნებართვით და მასთან თანამშრომლობის გზით.

ღვთისმსახურების და შეკრების ადგილებში დამსწრე პირების სკრინინგისა და მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და მონაცემები უნდა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რისთვისაც მოხდა ამ ინფორმაციის შეგროვება. დაუშვებელია ამგვარი ინფორმაციის გაზიარება მესამე პირებისთვის, რომელთაც არ აქვთ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, მიიღონ, დაამუშაონ და გამოიყენონ მსგავსი მასალა. გარდა ამისა, ასეთი მონაცემები და ინფორმაცია

95 2013 წელს კიევში, ეუთოს მინისტრთა საბჭომ მოუწოდა მონაწილე სახელმწიფოებს, ხელი შეუწყონ დიალოგს რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებსა და სამთავრობო ორგანოებს შორის, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ღვთისმსახურების ადგილებისა და რელიგიური ქონების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; კიევი, მინისტთა საბჭოს გადაწყვეტილება 3/13, ციტ., შენიშვნა 8.

უნდა ინახებოდეს კანონით დადგენილი ვადით და შემდეგ განადგურდეს დროულად და უსაფრთხოდ.[96]

რა შემთხვევაში არის მიზანშეწონილი ჩხრეკის ჩატარება?

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვები რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაში. ღვთისმსახურების ადგილის ან შეკრების ადგილის ჩხრეკა არის უკიდურესი ღონისძიება, რამაც შეიძლება შეაფერხოს მთელი რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის ცხოვრება და მოშალოს სახელმწიფოს, როგორც რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების მიმართ სამართლიანობისა და პატივისცემის გარანტის მიმართ ნდობა. ამიტომ, ჩხრეკა უნდა ჩაითვალოს მხოლოდ უკიდურეს ზომად.

ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილები არ არის გამონაკლისი, რომ ჩატარდეს ჩხრეკა, თუკი არსებობს საკმარისი მტკიცებულება, რომ იქ ჩადენილია ან მზადდება დანაშაული. თუმცა, ჩხრეკა უნდა ჩატარდეს ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები შემაფერხებელი გავლენა იქონიოს ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებში მიმდინარე საქმიანობაზე. მეტიც, როდესაც კონკრეტული შემთხვევა იძლევა ამის საშუალებას და ხელს არ უშლის ჩხრეკის ჩატარების მიზანს, ჩხრეკა უნდა ჩატარდეს ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებზე პასუხისმგებელი პირების თანხმობით, თანამშრომლობით და მათი დასწრებით. ამავდროულად, სახელმწიფო მოხელეებმა უნდა აწარმოონ ღია და გამჭვირვალე დიალოგი რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებთან.[97]

---

96 უფლებადამცველთა დაცვის გზამკვლევი, პუნქტი 87, ციტ., შენიშვნა 92. აგრეთვე: „კონვენცია პირთა დაცვის შესახებ პერსონალური მონაცემების ავტომატურ დამუშავებასთან დაკავშირებით“, ევროპის საბჭო, CETS No. 108, 1 ოქტომბერი 1985, და „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების შესახებ პირთა დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი, ზედამხედველობის ორგანოებსა და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო ნაკადებთან დაკავშირებით“, ევროპის საბჭო, CETS No. 1811, 2004 წლის ივლისი, https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/181.

97 კიევი, მინისტთა საბჭოს გადაწყვეტილება 3/13, ციტ., შენიშვნა 8.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა აუცილებელი იყოს კონკრეტული ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილის დამსწრე ადამიანების ჩხრეკა ან შემოწმება, მაგრამ, ამავდროულად, ამას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგებიც. ეს შედეგები შეიძლება მოიცავდეს მთლიანად რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების სტერეოტიპიზაციას და სტიგმატიზაციას, და ასევე ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოებსა და ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილას დამსწრე პირებს შორის უნდობლობის გაჩენას. შედეგად, რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების წევრებს შეიძლება გაუჩნდეთ უკმაყოფილების განცდა და ნაკლებად ჰქონდეთ სურვილი, ითანამშრომლონ სახელმწიფო ორგანოებთან. ამგვარმა უნდობლობამ, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, შეიძლება მეტად დააზარალოს უსაფრთხოება.

რა სახის გენდერული საკითხები უნდა იქნეს გათვალისწინებული სკრინინგის, მონიტორინგისა და ჩხრეკის დროს?

ისეთი ღონისძიებები, როგორიც არის სკრინინგი, მონიტორინგი და ჩხრეკა, მნიშვნელოვან გენდერულ საკითხებს აჩენს. მაგალითად, იმ პირთა პროფილები, რომლებსაც ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილებში უნდა ჩაუტარდეთ სკრინინგი და მონიტორინგი, შეიძლება აგებული იყოს სტერეოტიპულ გენდერულ ვარაუდებზე, რაც, თავის მხრივ, დისკრიმინაციულია და რეალურ უსაფრთხოების გამოწვევებს არ უკავშირდება. ზოგ შემთხვევაში კაცები არაპროპორციულად ხდებიან საიდენტიფიკაციო საბუთების წარდგენისა და დაკითხვის სამიზნე. ზოგჯერ, შეიძლება ქალებზე გავრცელდეს არაპროპორციულად იდენტიფიკაციის მიზნით ცალკეული სამოსის, მაგალითად, სახის ან თავსაბურავის მოხსნის მოთხოვნა. ამგვარი ზომების შედეგად, შესაძლებელია, რომ კაცები და ქალები, სხვადასხვა მიზეზის გამო და სხვადასხვა სიტუაციაში, მოერიდონ სალოცავ და შეკრების ადგილებში მისვლას. ამან შეიძლება გავლენა იქონიოს მათი ოჯახის წევრების მიერ აღნიშნულ ადგილებში სიარულზეც, განსაკუთრებით, თუ ამ პირებს მშობლის მოვალეობებიც აქვთ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოებმა, რომლებიც განიხილავენ სკრინინგის, მონიტორინგისა და ჩხრეკის ღონისძიებებს, განსაკუთრებული მგრძნობელობა უნდა გამოიჩინონ გენდერული ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციის მიმართ და ამგვარი რისკების თავიდან ასაცილებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად, შეძლებისდაგვარად შეეცადონ რელიგიურ და სარწმუნოებრივ თემებთან დიალოგში შესვლას. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილების გენდერულად განცალკევებულ სივრცეებში ჩხრეკა ჩაატარონ იმავე სქესის წარმომადგენლებმა, რომლისთვისაც არის განკუთვნილი ეს კონკრეტული სივრცე.

რეკომენდაციები

მონაწილე სახელმწიფოებს

1. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სკრინინგის, მონიტორინგის (მათ შორის, ღია და ფარული მეთვალყურეობის პროცედურების) და რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილების ჩხრეკის პოლიტიკა ხორციელდებოდეს შესაბამისი პროცედურების დაცვით; ასევე უნდა იყოს დოკუმენტირებული და რეგულარული ინტერვალებით ხდებოდეს მათი გადახედვა. ღია თვალთვალის პროცედურებიც ასევე უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილების სკრინინგის, მონიტორინგისა და ჩხრეკის პოლიტიკა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს და ადგილობრივ კანონმდებლობას.

3. სკრინინგის ან მონიტორინგის ღონისძიებები ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებში უნდა განხორციელდეს მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში და როგორც უკიდურესი ზომა. ეს ზომები უნდა იყოს მინიმალურად ინტრუზიული და სავარაუდო საფრთხის პროპორციული.

4. ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილების სკრინინგი და მონიტორინგი შეძლებისდაგვარად უნდა განხორციელდეს შესაბამისი რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემის თანხმობითა და თანამშრომლობით. ამგვარი ზომების მიღებამდე, სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა განაცხადონ, რომ ისინი არ აიგივებენ ძალადობასა და უსაფრთხოების მიმართ არსებულ საფრთხეს რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემთან.

5. ვიდრე ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებში დამსწრე პირების მიმართ სკრინინგის ან მონიტორინგის ზომებს განახორციელებენ, მონაწილე სახელმწიფოებმა რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ლიდერებს უნდა აცნობონ ამ ადგილებში დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებაში ეჭვმიტანილი პირების შესახებ.

6. ვიდრე ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებში სკრინინგის ან მონიტორინგის ზომებს განახორციელებენ, მონაწილე სახელმწიფოები უნდა ჩაერთონ დიალოგში რელიგიურ და სარწმუნოებრივ თემებთან, რათა დადგინდეს, შეიძლება თუ არა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების ეფექტიანად გადაჭრა ნაკლებად ინტრუზიული ზომების გამოყენების გზით.

7. სკრინინგისა და მონიტორინგის ზომების მიღების შემდეგ, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ ზომებს თან

ახლდეს და მოჰყვეს დიალოგი და ინიციატივები, რომლებიც აღადგენს თემების მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ დაკარგულ ნდობას.

8. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილების სკრინინგზე, მონიტორინგსა და ჩხრეკაზე, გაიარონ სათანადო ტრენინგი როგორც რელიგიური წიგნიერების, ასევე რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კუთხით. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მათ შეიძინონ შესაბამისი უნარ-ჩვევები ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილებში მყოფი ადამიანების მიმართ სათანადო მგრძნობელობისა და ყველას ღირსების და რელიგიის ან რწმენის თავისუფლების მიმართ პატივისცემის მიზნით.

9. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავი და უსაფრთხოების ორგანოების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც უნდა დაიცვან ღვთისმსახურების და შეკრების ადგილების სკრინინგის, მონიტორინგისა და ჩხრეკის დროს.

10. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილების სკრინინგზე, მონიტორინგსა და ჩხრეკაზე პასუხისმგებელ თანამშრომლებს ჰქონდეთ სათანადო ცოდნა და ტრენინგი კაცებსა და ქალებთან მიმართებით არსებულ სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით. მათ შორის, იმ განსხვავებების შესახებ, რომელიც არსებობს ქალებსა და კაცებს შორის ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილებში თავიანთი რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით სარგებლობის კუთხით.

11. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც დაექვემდებარნენ სკრინინგის, მონიტორინგისა და ჩხრეკის ზომებს, წვდომა ჰქონდეთ გასაჩივრების ეფექტიან პროცედურებზე.

12. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ღვთისმსახურებისა და შეკრების ადგილებში მიმსვლელ პირთა სკრინინგის, მონიტორინგის ან ჩხრეკის შედეგად მიღებული ინფორმაცია და მონაცემები დამუშავებული იქნება პერსონალური მონაცემების შეგროვების, დაცვისა და გამოყენების შესახებ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით.

13. ღვთისმსახურების და შეკრების ადგილის დახურვის მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით, მონაწილე სახელმწიფოებმა აღნიშნული ზომა უნდა გამოიყენონ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ეს წარმოადგენს აბსოლუტურ აუცილებლობას. ეს ზომები უნდა იქნეს მიღებული რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემთან კონსულტაციით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად სხვა ალტერნატიული მიდგომების საგულდაგულო განხილვის შემდეგ.

რელიგიურ და სარწმუნოებრივ თემებს

14. რეკომენდებულია, რომ რელიგიურმა ან სარწმუნოებრივმა თემებმა გამოიჩინონ სათანადო ყურადღება სიძულვილის ადვოკატირების ნიშნების მიმართ, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებას და იმ ქმედებების მიმართ, რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნის ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილას მყოფი ნებისმიერი პირის უსაფრთხოებას.

15. რეკომენდებულია, რომ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ლიდერებმა მკაფიოდ და დროულად დაგმონ სიძულვილის ადვოკატირება, რომელიც უტოლდება დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებას და გამიჯნონ საკუთარი თემები იმ თანამორწმუნეებისგან, ვინც ეწევა სიძულვილის ამგვარ ადვოკატირებას.

სამოქალაქო საზოგადოებას

16. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირონ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ლიდერების ძალისხმევას, რომლებიც საჯაროდ გმობენ სიძულვილის ადვოკატირებას, რაც აქეზებს დისკრიმინაციას, მტრობას ან ძალადობას.

17. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დაუპირისპირდნენ სიძულვილის ადვოკატირებას, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას ამგვარი სიძულვილის სამიზნეების მიმართ მხარდაჭერის გამოხატვის გზით.

მედიას

18. მედიამ თავი უნდა შეიკავოს რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებში განვითარებული მოვლენების სენსაციალიზაციისა და მცდარი გაშუქებისგან. მაგალითად, ღვთისმსახურების ან შეკრების ადგილას სკრინინგის, მონიტორინგის ან ჩხრეკის ჩატარების ფაქტი არ უნდა იყოს ნავარაუდევი როგორც აღნიშნული რელიგიური/სარწმუნოებრივი თემის მონაწილეობა უკანონო ქმედებებში. მედიამ უნდა გამოიყენოს ყველანაირი ძალისხმევა იმისთვის, რომ აღნიშნული საკითხები გამოიკვლიოს და გააშუქოს ეთიკურად, რათა ცალკეული პირების ან ჯგუფების მიერ ჩადენილი ქმედებები არ გაიგივდეს მთლიანი თემის საქმიანობასთან.

4.4. რელიგიის/რწმენის შეცვლასთან დაკავშირებული შეზღუდვები და იმ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების საქმიანობების შეზღუდვა, რომელთაც უცხოური კავშირები აქვთ

ეუთოს რეგიონში, ზოგიერთი რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემი, რომელიც არაიძულებითი დარწმუნების გზით თავის რელიგიაზე ან რწმენაზე სხვების მოქცევას ეწევა, შეიძლება სოციალური სიძულვილისა და ანტაგონიზმის ობიექტი გახდეს. შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა შეიძლება ასეთი ქმედებები განიხილონ, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის, რელიგიათა შორის ჰარმონიისა და მშვიდობიანი თანაარსებობის დამრღვევი საქმიანობა. ამის საპასუხოდ კი, შეიძლება მიიღონ ზომები, რომლებიც ზღუდავს სხვათა არაიძულებითი დარწმუნების გზით რელიგიაზე ან რწმენაზე მოქცევის მცდელობებს ან გაართულებს რელიგიის/რწმენის გავრცელების უფლებით სარგებლობას. ადგილობრივ კულტურაში ახალი რელიგიური ან სარწმუნოებრივი პრაქტიკის მიმართ ეჭვი შეიძლება გაიზარდოს, როდესაც რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემები მასპინძლობენ უცხოელ მისიონერებს ან აქვთ კავშირები ან სათავო ორგანიზაციები ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს რეაგირება შეიძლება მოიცავდეს ისეთ ზომებს, როგორიც არის უცხოელი მისიონერების ქვეყნიდან გაძევება.

რა არის არაიძულებითი დარწმუნება?

აღნიშნულ დოკუმენტში ტერმინი „არაიძულებითი დარწმუნება“ მიუთითებს ისეთი სახის კომუნიკაციასა და საქმიანობაზე, რომელიც ძალადობის, დაშინების, მუქარისა და ზეწოლის სხვა არაკანონიერი ფორმების გარეშე მიმართულია სხვა ადამიანების საკუთარ

რელიგიაზე ან რწმენაზე მოქცევისკენ.[98] დოკუმენტში არ არის გამოყენებული ტერმინი „პროზელიტიზმი“, რადგან ეს ტერმინი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და აქვს ნეგატიური კონოტაცია. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში ტერმინი „მისიონერი“ აღწერს პირს, რომლის ძირითადი საქმიანობაა რელიგიის დამოწმება და გავრცელება სწავლების, ქადაგების და სხვა აქტივობების მეშვეობით იმ ადამიანებსა და/ან ჯგუფებს შორის, რომლებიც სხვა აღმსარებლობას მისდევენ ან არ მიეკუთვნებიან არცერთ რელიგიას. მისიონერული საქმიანობა არ შემოიფარგლება ცალკეული ინდივიდებით ან გარკვეული ჯგუფებით/თემებით.

რა არის რწმენის/რელიგიის შეცვლის უფლება?

რწმენის შეცვლის უფლება, ანუ რელიგიის ან მრწამსის მიღების, უარის თქმის ან შეცვლის უფლება, სარგებლობს აბსოლუტური დაცვით საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რადგან ეხება ადამიანის რელიგიის ან რწმენის თავისუფლების შიდა განზომილებას (forum internum). რელიგიის ან მრწამსის შეცვლის უფლება ასევე ცალსახად არის აღიარებული ეუთოს ვალდებულებებში.[99] დებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს რწმენის შეცვლის შეზღუდვას სისხლის ან სამოქალაქო სამართლის სანქციებით ან ადმინისტრაციული ზომების დაკისრებით, მაგალითად, ისეთი დებულებები, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებს წინასწარ ეცნობოთ ან ნებართვა გასცენ რწმენის შეცვლაზე, ეწინააღმდეგება რელიგიის ან რწმენის მიღების, უარის თქმის ან შეცვლის უფლების აბსოლუტურ ბუნებას.

98 ტერმინის „არაიძულებითი დარწმუნების“ განხილვისთვის იხილეთ „რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, გაეროს გენერალური ასამბლეა“, გაეროს დოკ. A/67/303, 2012 წლის 13 აგვისტო, https://undocs.org/A/67/303 .

99 კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990, კიევის დოკუმენტი 2013.

რას გულისხმობს არაიძულებითი დარწმუნებით, როგორც რწმენისა და რელიგიის, ისე გამოხატვის თავისუფლების ნაწილით, სარგებლობის უფლება?

ადამიანებს აქვთ უფლება, განახორციელონ არაიძულებითი დარწმუნება, რაც რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ნაწილია. რელიგიური ან არარელიგიური მრწამსის გამოხატვის უფლება მოიცავს თავისუფლებას, ეცადო დაარწმუნო სხვა ადამიანები საკუთარი რწმენის ჭეშმარიტებაში და ამ რწმენისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკის მნიშვნელობაში აზრიანი და სრულფასოვანი ცხოვრების მისაღწევად. მართლაც, მრავალი მორწმუნისთვის საკუთარი გზავნილის სხვებისთვის გაზიარება რელიგიური ვალდებულებაა. სხვების არაიძულებითი გზით დარწმუნების უფლება ასევე დაცულია გამოხატვის თავისუფლების უფლებით, რომელიც მოიცავს „თავისუფლებას, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით ან პრესის და გამოხატვის მხატვრული საშუალებებით ან საკუთარი არჩევანით სხვა საშუალებებით“.[100]

რელიგიის ან რწმენის თავისუფლება ასევე მოიცავს რელიგიის ან რწმენის არქონის, რელიგიის ან რწმენის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების და რწმენის შეცვლაზე უარის თქმის უფლებას. ეს უფლებები წარმოადგენს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შინაგან განზომილებას (forum internum) და სარგებლობს აბსოლუტური დაცვით.

კომუნიკაციის საშუალებით რელიგიური ან მრწამსის საკითხებზე სხვათა დარწმუნების უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტულ სიტუაციებში. მაგალითად, როდესაც პირები განსაკუთრებით მოწყვლადი არიან ასაკის (მაგალითად, ახალგაზრდები სასკოლო გარემოში) ან შეზღუდული ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო. ასევე შეიძლება არსებობდეს ზოგადი შეზღუდვა ისეთ დარწმუნებაზე, რაც იძულებას უტოლდება;

---

100 სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19.

ასევე სპეციალური მიდგომა შეიძლება არსებობდეს იერარქიულ ურთიერთობებში, როდესაც დაქვემდებარებულს არ შეუძლია უარი თქვას ზემდგომის მიერ რელიგიის ან რწმენის შეცვლასთან დაკავშირებულ შეთავაზებაზე.

თუმცა, სახელმწიფოს მცდელობა, განასხვაოს ერთმანეთისგან სათანადო და არასათანადო დარწმუნების საქმიანობა, არაერთ სირთულეს მოიცავს და შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს რელიგიასთან ან რწმენასთან დაკავშირებულ კომუნიკაციაზე. არაიძულებითი დარწმუნების უფლების შეზღუდვა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზედმიწევნით აკმაყოფილებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18(3) მუხლით დადგენილ ყველა კრიტერიუმს. რაც იმას ნიშნავს, რომ „ნებისმიერი შეზღუდვა მოითხოვს სამართლებრივ საფუძველს, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, უნდა იყოს მკაფიოდ და ვიწროდ განსაზღვრული, უნდა იყოს პროპორციული და არ უნდა განხორციელდეს დისკრიმინაციული გზით“.[101] მნიშვნელოვანია, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა წარმოადგინონ მკაფიო ემპირიული მტკიცებულება, რომ კონკრეტული საქმიანობა უტოლდება იძულებას, რადგან სხვაგვარად, დანაშაულის კატეგორიაში ან სხვაგვარ შეზღუდვაში შეიძლება მოყვეს რელიგიურ ან სარწმუნოებრივ საკითხებზე კომუნიკაციის უბრალო, მშვიდობიანი ფორმები.

არაიძულებითი დარწმუნების ძალისხმევასთან დაკავშირებული წუხილი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამგვარი საქმიანობა განხორციელებულია ახლად ჩამოყალიბებული და რიცხობრივად უფრო მცირე რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების მიერ, შეიძლება ბოროტად იყოს გამოყენებული პოლიტიკოსების მიერ, რათა გაუმართლებლად შეზღუდონ ასეთი თემების ლეგიტიმური საქმიანობა უსაფრთხოებისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის საბაბით. ასეთი თემები შეიძლება დაადანაშაულონ „ალტერნატიული ჭეშმარიტების“ გავრცელებით უსაფრთხოების რისკების გაჩენაში, ან არასასურველი რელიგიური

101 „რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში“, პუნქტი 28, ციტ., შენიშვნა 98.

ან სარწმუნოებრივი შეხედულებების გავრცელებაში, რომლებიც მიჩნეული იქნება „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად“ და შეუთავსებლად მოცემული საზოგადოების ტრადიციულ ღირებულებებსა და ნორმებთან. შესაბამისად, ეს თემები შეიძლება გახდნენ მათი რელიგიის ან რწმენის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის მსხვერპლი. ცალკეული პირები ან თემები, რომლებიც ეწევიან არაიძულებითი დარწმუნების საქმიანობას, შეიძლება აღმოჩნდნენ ცრურწმენების, ეჭვებისა და ნეგატიური სტერეოტიპების სამიზნე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათ მიმართ მტრობა და ძალადობა.

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს სამართლებრივი და სოციალური ჩარჩო, რომლითაც რელიგიის ან რწმენის შეცვლის და არაიძულებითი დარწმუნების უფლებით სარგებლობა თავისუფლად და სრულად იქნება შესაძლებელი. ეს მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას პიროვნების უფლება რელიგიის/რწმენის შეცვლაზე (მიიღოს, უარი თქვას ან შეიცვალოს რელიგია ან რწმენა), და ასევე დაიცვას არაიძულებითი დარწმუნების საქმიანობაში ჩართული ცალკეული პირები და თემები ძალადობის, დაშინების, შევიწროებისა და დისკრიმინაციისგან.

რელიგიის ან რწმენის თავისუფლებას საფუძვლად უდევს ახალი იდეების მიმართ მზაობა და ინფორმაციის გაზიარებისა და მიღების შესაძლებლობა. ჩვენს დროში კომუნიკაციის მუდმივად მზარდი შესაძლებლობების, ასევე რეაგირებისა და ასოციაციის მოდელებში ამის შედეგად წარმოქმნილი ცვლილებების გათვალისწინებით, სახელმწიფომ და სხვა შესაბამისმა დაინტერესებულმა მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ უსაფრთხოებასა და სოციალურ ერთიანობას, რომელიც დაფუძნებული იქნება რელიგიურ და სარწმუნოებრივ პლურალიზმზე. „პლურალიზმის გარდაუვალ შედეგებზე“ სახელმწიფოების რეაგირების განხილვისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ხელისუფლების როლი ასეთ ვითარებაში არ არის დაძაბულობის მიზეზის დაძლევა პლურალიზმის აღმოფხვრის გზით, არამედ სახელმწიფომ უნდა

უზრუნველყოს, რომ კონკურენტი ჯგუფები ერთმანეთის მიმართ ტოლერანტული არიან“.[102]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, როგორიც არის, მაგალითად, რელიგიის ან სარწმუნოების შეცვლის საპასუხოდ დაწყებული მასობრივი გამოსვლები/ამბოხი, შეიძლება გამოწვეული იყოს დომინანტური ან გავლენიანი რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების რეაქციით, რომლებმაც შესაძლოა საფრთხედ მიიჩნიონ სხვა თემების გაჩენა ან მათი რიცხობრივი ზრდა. ამ კუთხით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე გავლენა არ მოახდინოს ორკესტრირებულმა პროტესტმა ან სავარაუდო პროვოკაციაზე გადაჭარბებულმა რეაქციამ, რამაც შეიძლება უბიძგოს ხელისუფლებას, თვითნებურად და გაუმართლებლად შეზღუდოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ლეგიტიმური გამოხატვა.

102 Serif v. Greece [სერიფი საბერძნეთის წინააღმდეგ], ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (განაცხადი No. 38178/97, 1999 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება), პარაგრაფი 53.

რა შეიძლება გაკეთდეს იმ უცხოელი პირების ან რელიგიური მსახურების მიმართ უსაფრთხოების კუთხით არსებული პრობლემების შესამცირებლად, რომლებიც ჩართული არიან რელიგიის გავრცელების საქმიანობაში?

უმეტეს შემთხვევაში, რელიგიის ან რწმენის გავრცელების საქმიანობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან რელიგიური მსახურების („უცხოელი მისიონერები“) ჩართულობა არავითარ უსაფრთხოების რისკებს არ უკავშირდება, მაშინაც კი, თუ მათი კომუნიკაცია უფრო დამაჯერებლად მიიჩნევა ან ისინი უფრო გავლენიანებად ითვლებიან, ვიდრე ცალკეული ადგილობრივი მორწმუნეები.

კონკრეტულ პირებს არ უნდა ეკრძალებოდეთ ქვეყანაში შესვლა და ცხოვრება მათი რელიგიის ან რწმენის გამო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ზუსტი ცნობები წარსულში აღნიშნული პირების რელიგიაზე ან რწმენაზე იძულებითი მოქცევის საქმიანობაზე, სიძულვილის პროპაგანდაზე, რომელიც აქეზებს დისკრიმინაციას, შუღლს ან ძალადობას, ან არსებობს მტკიცებულება, რომ ისინი გეგმავენ ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებს ამ კონკრეტულ ქვეყანაში. ვიზის საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტორებთან მიმართებით არსებული მარეგულირებელი წესები საკმაოდ ვრცელი და დეტალურია, რაც იძლევა საშუალებას, გადამოწმდეს ინფორმაცია ვიზის მომთხოვნი პირის საკუთარ ქვეყანაში საქმიანობის შესახებ. როგორც წესი, ამგვარი ზომები საკმარისია უცხოელ პირებთან, მათ შორის, რელიგიურ პირებთან მიმართებით არსებული ნებისმიერი საკითხის მოსაგვარებლად. უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, ცალკეული ვიზის განაცხადი შესაძლოა უფრო დეტალურადაც იყოს შესწავლილი, თუმცა ყველა უცხოელი რელიგიური მსახურის ვიზიტების ზოგადი აკრძალვა ვერ დააკმაყოფილებს აუცილებლობის კრიტერიუმს.

რეკომენდაციები

მონაწილე სახელმწიფოებს

1. მონაწილე სახელმწიფოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წუხილი არ უნდა იქნეს გამოყენებული რელიგიის ან რწმენის შეცვლის უფლების (რელიგიის/რწმენის მიღება, უარის თქმა ან შეცვლა) შეზღუდვისთვის. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეს არის ადამიანის აბსოლუტური უფლება. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს ის სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ზომები, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს რწმენის/რელიგიის შეცვლის უფლებას.

2. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ის პირები, რომლებიც იცვლიან რელიგიას ან რწმენას, დაცული იყვნენ ძალადობისგან, შევიწროებისგან, დაშინებისგან ან დისკრიმინაციისგან, რათა მათ შეძლონ სრულად ისარგებლონ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით.

3. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი შეზღუდვა იმ პირთა და რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების მიმართ, რომლებიც ეწევიან არაიძულებით დარწმუნების საქმიანობას, უნდა აკმაყოფილებდეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 18(3) მუხლით გათვალისწინებულ ყველა კრიტერიუმს (მაგალითად, არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომ ეს ქმედებები ხორციელდება იძულებით ან უტოლდება დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებას).

4. რეკომენდებულია, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირონ რელიგიური და სარწმუნოებრივი თემების ძალისხმევას, დიალოგისა და თანამშრომლობის გზით გადაჭრან რწმენის შეცვლასთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი წუხილი ან დაძაბულობა.

5. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამართალდამცავი, უსაფრთხოების და სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენელთა სათანადო ტრენინგი და ინსტრუქტაჟი, რათა მათ პატივი სცენ ადამიანის უფლებას, შეიცვალოს რწმენა ან რელიგია, ან არაიძულებითი დარწმუნების გზით შეეცადოს სხვების მოქცევას საკუთარ რწმენაზე ან რელიგიაზე.

6. მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა შეზღუდონ ქვეყანაში უცხოელი პირების, მათ შორის რელიგიური მსახურების, შესვლა ან ბინადრობა მათი რელიგიის ან რწმენის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ზუსტი ცნობები წარსულში ამ პირების მიერ რწმენაზე ან რელიგიაზე იძულებით მოქცევის საქმიანობაზე, ან სიძულვილის გაღვივებაზე, რაც უტოლდება დისკრიმინაციის, შუღლის ან ძალადობის წაქეზებას; ან არსებობს იმის მტკიცებულება, რომ აღნიშნული პირი გეგმავს ზემოთ აღწერილი ქმედებების განხორციელებას ამ კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე. ქვეყანაში შესვლის ან ბინადრობის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა ან გაუქმება უნდა განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის სრული დაცვით.

რელიგიურ ან სარწმუნოებრივ თემებს

7. რელიგიურმა და სარწმუნოებრივმა თემებმა, მათ შორის თემის ლიდერებმა, უნდა გააცნობიერონ, რომ რელიგიის ან რწმენის შეცვლა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების განუყოფელი ნაწილი და აბსოლუტური უფლებაა, ისევე როგორც პიროვნების რელიგიური მრწამსის შეცვლა ათეისტური ან აგნოსტიკური შეხედულებებით და პირიქით.

8. რელიგიური და სარწმუნოებრივი თემების ლიდერებმა თავი უნდა შეიკავონ ტრადიციული ღირებულებების ან სოციალური ერთობის დაცვის საბაბით გაკეთებული მოწოდებებისგან, რომ შეიზღუდოს სხვა ადამიანების საკუთარ რელიგიაზე ან რწმენაზე მოქცევის უფლება.

9. რეკომენდებულია, რომ რელიგიურმა და სარწმუნოებრივმა თემებმა შეიმუშაონ თავიანთი რელიგიის ან რწმენის შესახებ კომუნიკაციის ისეთი მეთოდები, რომელიც პატივს სცემს სხვა პირების რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას და მგრძნობიარეა იმ კულტურული და სოციალური კონტექსტის მიმართ, სადაც ეს ქმედებები ხორციელდება. ასევე რეკომენდებულია, რომ რელიგიურმა და სარწმუნოებრივმა თემებმა ტრენინგი ჩაუტარონ ცალკეულ მორწმუნეებს კომუნიკაციის იმგვარ ფორმებზე, რომელიც პატივს სცემს ადამიანების არჩევანის უფლებას.

10. რეკომენდებულია, რომ რელიგიურმა ან სარწმუნოებრივმა თემებმა, ან ინტერრელიგიურმა უწყებებმა და საბჭოებმა შეიმუშაონ ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსები ან სახელმძღვანელო პრინციპები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს რელიგიის ან რწმენის გავრცელება არაიძულებითი გზით.

11. რეკომენდებულია, რომ რელიგიურმა ან სარწმუნოებრივმა თემებმა დიალოგისა და თანამშრომლობის ფორმატში (ფორმალური და არაფორმალური) გადაჭრან რელიგიის ან რწმენის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი დაძაბულობა ან მღელვარება. სახელმწიფოებისთვის კი რეკომენდებულია, რომ მხარი დაუჭირონ ამ ძალისხმევას.

სამოქალაქო საზოგადოებას

12. რეკომენდებულია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირონ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ძალისხმევას, დიალოგისა და თანამშრომლობის გზით გადაჭრან

რელიგიის ან რწმენის შეცვლასთან/მოქცევასთან დაკავშირებული ნებისმიერი დაძაბულობა ან მღელვარება.

13. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირონ რელიგიური ან სარწმუნოებრივი თემების ძალისხმევას, შეიმუშაონ ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსები ან სახელმძღვანელო პრინციპები რელიგიის ან რწმენის არაიძულებითი გზით გავრცელებასთან დაკავშირებით.

14. რეკომენდებულია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ყურადღება გამოიჩინონ რელიგია/რწმენა შეცვლილი პირების მიმართ, რომლებიც არიან ძალადობის, შევიწროების, დაშინების ან დისკრიმინაციის რისკის ქვეშ და შესთავაზონ მათ შესაბამისი მხარდაჭერა, რათა შეძლონ სრულად ისარგებლონ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებით.

მედიას

15. რეკომენდებულია, რომ საჯარო და კერძო მედიამ საზოგადოებას მიაწოდონ მიუკერძოებელი და ზუსტი ინფორმაცია რელიგიის ან რწმენის გავრცელებასთან/შეცვლასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, მათ შორის, რელიგია ან რწმენა შეცვლილ პირთა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ.

Office for Democratic Institutions and Human Rights

osce ODIHR